საერთო გაზეთი

№15 (473) • 18 აპრილი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ჯაყოიზმი, როგორც სინდრომი

ანუ გზაში წამოსწრებულების, „პლენში“ ჩარჩენილების და პორტირებულების შესახებ

„ვილაც-ვილაცებს, როგორც ჩანს, დაავიწყდათ ან არ სურთ გაიხსენონ, რა უმძიმესი ერთი წელი გაიარა „ქართულმა ოცნებამ“, როგორც მისმა ხელმძღვანელობამ, ასევე მისმა თითოეულმა მხარდამჭერმა 2011-დან 2012 წლის შემოდგომამდე.

ეს იყო ნამდვილი ტერორის, დევნის, ფსიქოლოგიური ზეწოლის, ფიზიკური ანგარიშსწორების ჯოჯოხეთური წელი, ნამდვილი ომი, რომელიც, არავინ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა“.

საქართველოს უსაფრთხოების სამსახური არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესაბამისად წარმატებულად მოქმედებს

ადვოკატთა ასოციაცია ეს არის „ნაციონალების“ მიერ გაცოცხლებული ბოლშევიკური გადმონაშთი...

რა ვუყოთ, რომ თეთრი ვარ?

სად იყვნენ ეს უფლებადამცველები მაშინ, როდესაც სააკაშვილის დროს ციხეები სავსე იყო უდანაშაულო ქალებით?

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ჯაყოიზმი, როგორც სინდრომი

ანუ გზაში წამოსწრებულების, „პლენში“ ჩარჩენილების და პორტირებულების შესახებ

ვახტანგ ხარჩილავა:

როცა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობას ვუყურებ, გალაკტიონის ეს სტრიქონები მახსენდება ხოლმე: „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

არა, წასვლით ყველა არ წასულა, მაგრამ ჟრიამულით კი ნამდვილად სხვა ხალხის ჟრიამული რომ ჭარბობს, ფაქტია.

— საიდან მოვიდნენ? ვინ არიან? „ქართულ ოცნებაში“ როგორ გაჩნდნენ? — კითხულობენ ამ ჟრიამულს მიყურადებული მოქალაქეები, მაგრამ კითხვაზე პასუხის გამცემი არავინაა.

ეს კითხვა განსაკუთრებული აქტიურობით გედევან ფოფხაძის ცნობილი განცხადების შემდეგ ისმის საზოგადოებაში, თუმცა, გულწრფელნი თუ ვიქნებით, პროცესი, რომელზეც ფოფხაძემ მიანიშნა და რომლის მაპროვოცირებლად ნინია კაკაბაძის ბორდში არჩევის საკითხი სახელდება, გაცილებით ადრე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთანავე დაიწყო, როცა „ქართული ოცნების!“ რიგებში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მანამდე ან „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ და იქიდან ებრძოდნენ ასპარეზზე გამოსულ ახალ პოლიტიკურ ძალას, ან განზე გამდგარნი შორიდან ადევნებდნენ თვალს, ვინ ვის სძლევდა, რომ გამარჯვებულის მხარეს დამდგარიყვნენ.

გამარჯვებულის მხარეს დადგომას კი, მოგეხსენებათ, არც დიდი ვაჟკაცობა ჭირდება და არც დიდი სიმამაცე — უბრალოდ, უსინდისო და უტიფარი უნდა იყო და იმ ადამიანისთვის, ვისაც გუშინ დედ-მამის სულს უტრიალებდი, თვალებში შეხედვის არ უნდა შეგრცხვეს.

ესენი, ეს ურცხვები და უტიფრები, ისე აეტუზნენ ბიძინა ივანიშვილს გვერდით, თითქოს ცოტა ხნის წინათ უკანასკნელი სიტყვებით არ ელანძღათ.

კაცი ვიცი, 2012 წლის 1 ოქტომბრის რვა საათამდე, სანამ ხმებს დაითვლიდნენ, ბიძინა ივანიშვილს და მის „ქართულ ოცნებას“ ცხრასართულიან გინებას რომ უგზავნიდა საჯაროდ და სახალხოდ, მაგრამ გამოხდა ხანი, ეს კაცი მინისტრი გახდა და, როგორც ამბობენ, იქაც იგივეს კეთება განაგრძო, რაც „ნაცმოძრაობის“ დროს კარგად ისწავლა — „მაყუთის“ მოჭრა.

პარტია ვიცი, რომლის ლიდერები წინა საღამოს, სანამ „ქართულ ოცნებაში“ მიიწვევდნენ, თავგამოდებით ამტკიცებდნენ, ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის პროექტიაო, მაგრამ მეორე დილას, როგორც კი კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გასაწევრიანებლად „მოსაწვევი“ მიიღეს, ისეთი მონური მორჩილებით და თავდადრეკით ეახლნენ „სააკაშვილის პროექტს“, თითქოს მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდათ.

გაზეთები ვიცი, ჟურნალისტები ვიცი, სააკაშვილის, მერაბიშვილის, ბოკერიას შეკვეთებს რომ ასრულებდნენ და 2010–11 წლებში ათასგვარ სიბინძურეს რომ ავრცელებდნენ ივანიშვილის მისამართით, მაგრამ მერე რა, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ისე რბილად და ელასტიურად გადმოსრიალდნენ აქეთა მხარეს, ისე გადანაწილდნენ სახელმწიფო სტრუქტურების პრესცენტრებში და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, თითქოსდა არაფერი ყოფილა.

პოლიტიკოსების, ჩინოვნიკების მთელი ჯოგი ვიცი, „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალურ რეჟიმს ფანატიკური ერთგულებით რომ ემსახურებოდნენ, მოგვიანებით კი „ქართულ ოცნებაში“ გადმოპორტირდნენ და ახლა აქ აგრძელებენ ქვეყნის „მსახურებას“.

„ქართულ ოცნებაში“ საკმაოდ მრავლად არიან ე.წ. „პლენში ჩარჩენილები“, ანუ ადამიანები, რომლებიც თავის დროზე „ნაცმოძრაობამ“ ჩანერგა „ქართული ოცნების“ რიგებში, იმ პირობით, რომ საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ გამარჯვების შემდეგ ჩანერგილებს უკან დაიბრუნებდა და მათ სამსახურსაც სათანადოდ დააფასებდა, თუმცა მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — „ნაცმოძრაობამ“ კი არა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ჩანერგილები კი სამუდამოდ „პლენში“ ჩარჩნენ და უკან ვერ დაბრუნდნენ.

კოაბიტაციის გამოცხადებამ მთავარ სამოქმედო გეგმად უამრავ ისეთ ადამიანს გაუხსნა გზა პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნებისკენ“, სამთავრობო სტრუქტურებისკენ, რომლებსაც არანაირი წვლილი არ შეუტანიათ „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, თუმცა, როგორც კი თავისი გაინაღდეს და ახალ სავარძლებში საიმედოდ მოკალათდნენ, იმ ადამიანების კირკიტი და შევიწროება სცადეს, ვინც იქ დახვდათ და ვისაც „ქართული ოცნების“ წარმატებაში მართლაც სისხლი ჰქონდათ ჩაქცეული.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ეს ასეც მოხდებოდა — ერთი პორტირებული მეორეს მოიყვანდა, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და როცა გამრავლდებოდნენ და გაძლიერდებოდნენ, აუცილებლად შეუტევდნენ თავიანთ მასპინძლებს.

ისტორია, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებით ხდება, რაღაცით ჰგავს „ჯაყოს ხიზნებს“.

ბევრი ჯაყო შემოესია „ქართულ ოცნებას“ და თუ დროზე არ იქნა საჭირო ზომები მიღებული, ისინი აუცილებლად გამორეკავენ იმ სახლის ამშენებლებს და საძირკვლის ჩამყრელებს იმ სახლიდან, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია...

●

— თქვენც ხომ არ აპირებთ წამოსვლას „ქართული ოცნებიდან“? — ჰკითხა ჟურნალისტმა ეკა ბესელიას.

— საიდან უნდა წამოვიდე? იმ პარტიიდან, რომელიც, პირველივე დღიდან, ბიძინა ივანიშვილთან ერთად, მათ შორის, ჩემი მონაწილეობით შეიქმნა? მე ორგანულად ვარ დაკავშირებული ამ პარტიასთან პირველივე დღიდან, შექმნამდეც სხვათაშორის... — გულწრფელად გაოცებულმა და გაკვირვებულმა იკითხა ქალბატონმა ეკამ.

იმ დღეებში, როცა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ ისტორიული განცხადება გააკეთა, მის ბიზნესცენტრში, სოლოლაკში, სულ სამად სამი კაცი იკრიბებოდა.

ამ სამ ადამიანში ერთ-ერთი ქალბატონი ეკა ბესელია იყო.

იმ მომენტში ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში ყოფნა და მის გვერდით დგომა სულაც არ იყო უსაფრთხო ამბავი.

არავინ იცოდა, რას მოიმოქმედებდა ივანიშვილის გადაწყვეტილებით გაცოფებული სააკაშვილი, რომელიც იმ დღეებში, ფაქტობრივად, შეურაცხადივით იქცეოდა და თავის გარემოცვას კატეგორიულად თხოვდა, დაუყოვნებლივ აღეკვეთათ ივანიშვილის „თავხედური“ ნაბიჯები.

ბიზნესცენტრის შესასვლელთან სადღეღამისო რეჟიმში ორი მანქანა მორიგეობდა და შენობაში შემსვლელ-გამომსვლელს ვიდეოკამერით აფიქსირებდნენ.

არავითარი გარანტია არ არსებობდა იმისა, რომ იქიდან გამოსულს სახლში ცოცხალს მიგეღწია, ან შენი ახლობლები საღ-სალამათი და უვნებლები დაგხვდებოდნენ.

აი, ასეთ დროს იყო იქ ეკა ბესელია, რომლის სიმამაცე და გამბედაობა ბევრ ვაჟკაცს შეშურდებოდა.

აქ დეტალების ჩამოთვლას არ დავიწყებ, მაგრამ მერწმუნეთ, ეკა ბესელიას დიდი წვლილი აქვს შეტანილი „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში.

ეს კარგად უნდა დაიმახსოვრონ

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალაა.

საიდანღაც შემოსწრებულმა ადამიანებმა, რომლებიც სხვის მიერ გაწყობილ სუფრას არხეინად მიუსხდნენ და ცოტა ხანში თამადობისკენაც გაექცათ თვალი.

ვიღაც-ვიღაცებს, როგორც ჩანს, დაავიწყდათ ან არ სურთ გაიხსენონ, რა უმძიმესი ერთი წელი გაიარა „ქართულმა ოცნებამ“, როგორც მისმა ხელმძღვანელობამ, ასევე მისმა თითოეულმა მხარდამჭერმა 2011-დან 2012 წლის შემოდგომამდე.

ეს იყო ნამდვილი ტერორის, დევნის, ფსიქოლოგიური ზეწოლის, ფიზიკური ანგარიშსწორების ჯოჯოხეთური წელი, ნამდვილი ომი, რომელიც, არავინ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა.

ამ ომგამოვლილ ადამიანებს დღეს ვიღაც-ვიღაცები, რომლებიც იმ დროს ჩირგვებში იყვნენ შემძვრალები ან „ნაცმოძრაობის“ სათვალთვალო პუნქტიდან ზვერავდნენ გარემოს, ზემოდან დაჰყურებენ გაბღენძილი და ამპარტავნული გამომეტყველებით.

მოდით, ასე დავსვათ კითხვა: დავუშვათ და 2012 წლის არჩევნებში „ნაცმოძრაობას“ რომ გაემარჯვა, იქნებოდნენ თუ არა დღეს პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრები, ის ადამიანები, რომლებსაც დავით ჭიჭინაძემ კოლექტიური ზარდიაშვილები უწოდა.

ამ კითხვაზე შეგვიძლია ცალსახად და გადაჭრით ვუპასუხოთ: არა, არ იქნებოდნენ!

მაშინ რატომ არიან ისინი დღეს „ქართულ ოცნებაში“ და უფრო მეტიც — რატომ, რა დამსახურების გამო უჭირავთ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობაში საკვანძო თანამდებობები?

ერთ-ერთ „ზარდიაშვილთან“ ჟურნალისტი გავაგზავნე ინტერვიუს ასაღებად.

ინტერვიუ არ შედგა — „საერთო გაზეთს“ არ ვიცნობო, განაცხადა „ზარდიაშვილმა“.

მართალი ხართ თქვენ, პატივცემულო, „საერთო გაზეთის“, აბა, საიდან უნდა იცნობდეთ — მაშინ, როცა „საერთო გაზეთის“ რედაქციის კარებს „ნაცმოძრაობის“ ზონდერები გვიმტვრევდნენ, თქვენ „ნაცმოძრაობის“ სასამართლოს დერეფნებში დარბოდით და საქმეებს აკვარახჭინებდით.

ჩვენ სხვადასხვა მხარეს ვიდექით მაშინ, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა აქეთ გადმოხვედით და „ქართული ოცნება“ დაირქვით, მე მეჩვენება, რომ მაინც სხვადასხვა მხარეს ვდგავართ.

●

2012 წლის ზაფხული იყო, ივლისი თუ აგვისტო, ირაკლი ტრიპოლსკი შემხვდა ქუჩაში.

ძალიან დაღონებული მეჩვენა

და — რა იყო, რა დაგემართა-მეთქი, ვკითხე.

— რაღა რა დამემართა, ცხრასი ათასი ლარით დამაჯარიმა მოგელაძემო, მომიგო.

მოგელაძე! გახსოვთ ეს ქალბატონი, უზარმაზარი თანხებით რომ აჯარიმებდა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს?

ასიათასიან თუ ორასიათასიან „შტრაფებს“ ისე გულუხვად ჩამოარიგებდა ქალბატონი მოგელაძე, თითქოს არაფერიაო.

სად არის ნეტავ, ახლა ეს მოგელაძე და რას აკეთებს? რას აკეთებს და, დააწინაურეს თურმე და თავს მშვენივრად გრძნობსო...

რა შეიძლება მომხდარიყო, „ქართულ ოცნებას“ რომ ვერ გაემარჯვა 2012 წლის ოქტომბერშიმეთქი, ვიკითხე ზემოთ.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო

და უამრავი ადამიანი მოხვდებოდა ციხეში სხვადასხვა საბაბით, უამრავ ადამიანს გაუყიდდნენ ყველაფერს, უამრავი ადამიანი გაუბედურდებოდა, უამრავ ადამიანს დაუნგრევდნენ ცხოვრებას იმის გამო, რომ „ნაცმოძრაობის“ სისხლიან რეჟიმს არ შეუშინდნენ და „ქართული ოცნების“ დროშის ქვეშ დადგნენ.

ამ ადამიანებმა შესანიშნავად იცოდნენ, რაც მოელოდათ დამარცხების შემთხვევაში, მაგრამ არავის დაუხევია უკან, არავის არ გამოუჩენია სულმოკლეობა და სულმდაბლობა, ყველამ ბოლომდე იბრძოლა და იომა.

რა ვქნათ ახლა, ამ ადამიანებს თავგანწირვა და თავდადება არ დავუფასოთ?

თუ ადამიანის ღვაწლი და დამსახურება თავგანწირვით, თავდადებით, ერთგულებით არ ფასდება, მაშინ სხვა რა კრიტერიუმია ისეთი ადამიანის ღვაწლის დაფასებისა?

ამ ორიოდე წლის წინათ „ქართული ოცნების“ ერთმა დეპუტატმა ასეთი რამ განაცხადა: „ქართული ოცნების“ იმ მხარდამჭერს, რომელმაც მხოლოდ დროშის ფრიალი იცის, მე პროფესიონალი „ნაციონალი“ მირჩევნიაო.

რა საქმეში იყვნენ პროფესიონალები „ნაციონალები“, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ამასაც თავი რომ დავანებოთ, ამ სიტყვების მთქმელმა ისიც კი არ იცის, რომ „ქართული ოცნება“ მხოლოდ დროშების ფრიალით და პოპულისტური ლოზუნგებით კი არ მოსულა ქართულ პოლიტიკაში, ის მოვიდა ქვეყნის განვითარების სრულიად ახალი პროექტით, ახალი ხედვებით, ახალი კონცეფციებით, რომლებზეც ქვეყნის მთელი ინტელექტუალური ელიტა მუშაობდა.

საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა არმია უწიგნური, უვიცი, ხეპრე ადამიანებისგან შედგებოდა და ამიტომ ის იძულებული გახდა, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრები ნაციონალებისგან მოეზიდა, სრული დემაგოგია, უფრო მეტიც, შორს გამიზნული პროვოკაციაა და მავნებლობაა.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლისთანავე მის გვერდით, „ქართული ოცნების“ გვერდით დადგა ერის საუკეთესო ნაწილი — ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ეკონომისტები, იურისტები, განათლების სფეროს მუშაკები, სხვადასხვა დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ა. შ. და ა. შ.

ეს იყო უზარმაზარი რესურსი, უზარმაზარი რეზერვი, რომელიც, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გამოყენებული.

ვერ მოხერხდა სააკაშვილის მიერ მიზანმიმართულად, შეგნებულად დისკრიმინირებული უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენელთა, ევრეთწოდებული „ჩარეცხილების“ რეაბილიტაცია და მათ კუთვნილ ასპარეზზე დაბრუნება, სადაც მათ თავიანთი ცოდნის და გამოცდილების წყალობით უდიდესი სიკეთის მოტანა შეეძლოთ ქვეყნისთვის.

გაურკვეველი წარმოშობის „ენჯეოშნიკების“, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში შერბენილ-გამორბენილების, სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტების ორ თუ სამთვიან კურსებზე „განათლებამიღებულების“ ბაზაზე ვერ დაკომპლექტდება ის ძალა, რომელსაც ქვეყნის მართვის უმძიმესი ტვირთის აწევა შეუძლია.

●

ტყუილად ხარობენ „ქართული ოცნების“ ოპონენტები, — „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც პირველივე დღეებიდან „ქართულ ოცნებას“ ედგნენ გვერდით და ამ პოზიციისთვის ერთი წამითაც არ გადაუხვევიათ.

ისინი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი, რომლებსაც გულწრფელად სურთ „ქართული ოცნების“ წარმატება, თუნდაც იმიტომ, რომ, იციან, „ქართული ოცნების“ დამარცხება შეიძლება საბედისწერო ტრაგედიად შემოუტრიალდეს მთელ საქართველოს.

ისინი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი, ბევრის თვალი კი უკეთ ხედავს იმ ღია თუ დაფარულ პროცესებს, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარეობს.

მათი აზრით, „ქართულ ოცნებაში“ მოქმედებენ რაღაც ძალები, რომლებიც „ქართული ოცნების“ მაგისტრალურ ხაზს უპირისპირდებიან და სხვადასხვა მეთოდებით შიგნიდან ცდილობენ სიტუაციის არევას, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება ძალიან მძიმე შედეგებით დამთავრდეს.

ისინი ფიქრობენ, რომ არ არის გამორიცხული, ეს ძალები ქართული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგაც წავიდნენ და თუ ამის საჭიროება დადგა, თვით ბიძინა ივანიშვილსაც კი დაუპირისპირდნენ.

ხომ არ დადგა დრო, „ქართული ოცნების“ მესვეურებმა, გნებავთ, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობამ, თავის მხარდამჭერთა დიდ არმიასაც ჰკითხოს, რას ფიქრობენ და როგორ აფასებენ ისინი „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებს?!

— ჩვენ ერთი გუნდი ვართო, — ისმის „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან.

კარგია ეს, მაგრამ ამის პარალელურად, მთავარია, თქვენ ერთი გუნდი იყოთ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებმაც მხარი დაგიჭირეს, რომლებიც გვერდით გედგნენ და რომლებსაც იმედი აქვთ, რომ თქვენი წინამძღოლობით ქართველთა ქართული ოცნება რეალობად იქცევა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ეს არის „ნაციონალების“ მიერ გაცოცხლებული ბოლშევიკური გადმონაშთი, რომელიც, ფაქტობრივად, პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა

„ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“ წარმომადგენელი, ადვოკატი **დავით მელაძე** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ბოლშევიკურ გადმონაშთად აფასებს და მის კომუნისტების დროინდელი პროფკავშირის მსგავსებაზე საუბრობს.

— მე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის პროფესიონალიზმში კი არა, თავად ასოციაციის ფორმაში შემაქვს ეჭვი. ნაციონალებმა სპეციალურად შექმნეს ეს მახინჯი ფორმის გაერთიანება, რომ იმპერატიულად ზეგავლენის ქვეშ ჰყოლოდათ ადვოკატები. რომელი ადვოკატებიც არ ემორჩილებოდნენ მათ მითითებებს, ყველა ციხეში გაუშვეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი ასოციაცია არ აღიარებს გაეროს კანონს „ადვოკატთა შესახებ“, უბრალოდ არის ჩამოყალიბებული. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ძალიან დიდი შემოსავალი აქვს, საქართველოში 4500 ადვოკატია, შეიძლება უკვე მეტიც, სახაზინო ადვოკატებიც ასოციაციის წევრები არიან და ყველა ადვოკატი ვალდებულია წელიწადში 200 ლარი შეიტანოს ასოციაციაში საწევროს სახით. ადვოკატები სახელმწიფოს წინაშეც ვართ ანგარიშვალდებული, ყველა ორდერზე 20%-იანი საშემოსავლო გადასახადით ვიბეგრებით. ადამიანმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, სახელმწიფომ მას მიანიჭა სამართალწარმოების (სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, რომელიც არჩეული ჰქონდა) სპეციალისტის კვალიფიკაცია, რა უფლება აქვს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, რომ ეჭვის ქვეშ დააყენოს ეს კვალიფიკაცია? იურისტს უფლება აქვს იუსტიციის სამინისტროში განაცხადი გააკეთოს, რომ სასამართლოში თუ საგამოძიებო ორგანოებში დაიწყოს მუშაობა. ადვოკატის შემთხვევაშიც ასე უნდა იყოს, იუსტიციის სამინისტრომ თავის თავზე უნდა აიღოს ეს სფეროც. სახელმწიფომ შექმნას ექვსთვიანი ადვოკატების მოსამზადებელი, იუსტიციის სკოლა, იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ვისაც ადვოკატობა უნდა, გაიაროს აქ სწავლება, შეისწავლოს ის უნარ-ჩვევები, რაც ადვოკატს ჭირდება და სახელმწიფომ მიანიჭოს ლიცენზია. ამ შემთხვევაში ადვოკატიც გათავისუფლდება პოლიტიკისგან. მოთხოვნაა ადვოკატობის მსურველს ოფისი ჰქონდეს, შეასრულოს ეს მოთხოვნაც და იმუშაოს, ამას არავითარი ასოციაცია არ ჭირდება. დარჩეს ასოციაცია, მაგრამ მისი წევრობა სავალდებულო არ უნდა იყოს, ვისაც სურვილი ექნება, ის გაერთიანდეს, მაგრამ ადვოკატობის ნებართვა რასაც ჰქვია, ეს ადვოკატთა ასოციაციამ კი არა, იუსტიციის სამინისტრომ უნდა გასცეს. ინდივიდუალურად უნდა მიენიჭოს ადვოკატს ის უფლებები, რაც მთლიანად ადვოკატთა ასოციაციას აქვს. რა თქმა უნდა ხსენებული სკოლა ფასიანი იქნება, იყოს წინასწარი შესატანი, ვთქვათ, 500 ლარი, დანარჩენი თანხა კი ეტაპობრივად დაიფაროს, როცა პირი საადვოკატო საქმიანობას დაიწყებს. ამ სკოლის შექმნით, სახელმწიფო ბიუჯეტშიც შევა ფული და მოქალაქეებსაც ექნება საშუალება, რომ გაარკვიოს ვინ არის პროფესიონალი ადვოკატი, შესაბამისად არჩევანის საშუალება ექნება. ჩვენი საქმიანობა, მოგებული სასამართლო პროცესებით ფასდება, საქმე თუ მოიგე, ე.ი. კვალიფიციური ადვოკატი ხარ. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ახლახანს სრულად მოვიგე საქმე, რომელიც 14 წელი გრძელდებოდა. მრავლად არიან ე.წ. ლიცენზირებული ადვოკატები, რომლებიც ვერაფერს აკეთებენ და არიან ადვოკატის ლიცენზიის გარეშე მყოფი იურისტები, რომლებიც სერიოზულ საქმეებს იგებენ. მე, როგორც ადვოკატს უნდა მომენიჭოს უფლება, რომ თუ ვთქვათ, ჟურნალისტის საქმეს ვიძიებ, ჟურნალისტი ჩავრთო საქმეში, რადგან ამ საქმეს სპეციალური განათლება ჭირდება. მე სამართლებრივ შეფასებას კი მივცემ, მაგრამ არის საკითხები, სადაც აუცილებლად მჭირდება სპეციალური განათლების მქონე ადამიანი. ერთ-ერთ კომპანიას პირველი ინსტანციის სასამართლოში მოვუგეთ, განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. პირველ ინსტანციაში რამდენჯერმე დავაყენე შუამდგომლობა, რომ ექსპერტიზა დანიშნულიყო, რისი წინააღმდეგიც მოსარჩელე იყო. ზემდგომ ინსტანციაში რა მოხდა არ ვიცი, მოსამართლემ ამბობს, მე წარმოდგენა მაქვს და ვფიქრობ, რომ ეს ორი ნივთი მსგავსიაო. მას პირდაპირ ვუთხარი, რომ ნუ შევითავსებდით სპეციალურ განათლებას და დაგვენიშნა ექსპერტიზა, მაგრამ უარი მითხრა, მე ასე მგონია იდენტურებიაო და გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. თუ დღევანდელი ტერმინოლოგიით ვისაუბრებთ, გონივრული ეჭვი მაქვს, რომ მოსამართლემ ზედაპირულად განიხილა ეს საქმე. დავას რა აზრი ჰქონდა, როცა იმ კომპანიამ, ვის ინტერესებსაც ვიცავდი, ხარვეზებიანი მინდობილობა გამიფორმა, რაც უფლებას არ მაძლევდა მათი ინტერესები დამეცვა. ბოლოს გავიგე, რომ მეორე მხარე ამ კომპანიის კომერციულ დირექტორთან გარიგებაში შევიდა. ასეთი შემთხვევებიც ხდება, ადვოკატს საქმეში სპეციალისტის ჩართვის უფლება რომ ჰქონდეს, ალბათობა აშკარად შემცირდება.

— ბატონო დავით, ადვოკატები ხშირადი საუბრობენ მოსამართლეების, საგამოძიებო და სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა არაკომპეტენტურობაზე და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მოიხსენიებენ მათ, თურმე ისინი ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის მონები, მისი ინტერესების გამტარებლები არიან. ადვოკატთა ასოციაციის ექსშეფმა ზაზა ხატიაშვილმა მგონია, „რეკორდი“ დაამყარა მთავრობისა და ბიძინა ივანიშვილის ლანძღვაში. თქვენც იზიარებთ მის აზრს?

— ამიტომაც ვამბობ, რომ გასაუქმებელია ადვოკატთა ასოციაცია, რა უფლება აქვთ ზაზა ხატიაშვილს ან დავით ასათიანს, რომ ჩემი სახელით ილაპარაკონ, მით უმეტეს ხშირ შემთხვევაში არ ვეთანხმებოდი ხატიაშვილის პოზიციას. ისე გამოდიოდა, რომ ადვოკატთა კორპუსის ყველა წევრი მის მსგავსად ფიქრობდა. ასოციაცია ფაქტობრივად პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელობასაც ადვოკატები ვინახავთ, რაც არის მიუღებელი. ასოციაცია არის ნაციონალების ერთ-ერთი ნარჩენი, რომლითაც ერთეული ადამიანები სარგებლობენ. მეც მაქვს დავა მოსამართლეებთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უცოდინარები არიან, უბრალოდ, მე, როგორც იურისტს ჩემი შეხედულება მაქვს გარკვეულ საკითხებზე და ამ შეხედულებების შეჯერება ხდება. მე სისხლის სამართლის კუთხით არ მაქვს შეხება სასამართლოსთან, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ვმუშაობ და თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ აქ ძალიან კარგი სპეციალისტები, მცოდნე მოსამართლეები გვყავს. საქმე იმაშია, რომ თვითონ ადვოკატთა კორპუსი ვართ ძალიან სუსტი, ჩემი კოლეგები ძირითადად ფულის „გაცოცხლებაზე“ მუშაობენ, მოსამართლეები კი არა, ადვოკატები გვყავს არაკომპეტენტური, რომლებიც თავიანთ პოზიციას სათანადოდ ვერ იცავენ და მერე მოსამართლეს სდებენ ბრალს უცოდინარობასა და ტენდენციურობაში.

სხვათა შორის, საქმის წაგების მიზეზი მარტო ადვოკატის არაკომპეტენტურობა არ არის, საკმაოდ არის შემთხვევები, როცა ადვოკატი მეორე მხარესთან შევიდა გარიგებაში, რის გამოც მისი დაცვის ქვეშ მყოფმა კუთვნილი ქონება დაკარგა. ახლა მაქვს ერთი საქმე, სადაც ადვოკატების თაღლითობის გამო, ადამიანმა ბათუმსა და რუსთავში დაკარგა ბინები. მან ორ ადვოკატს გაუფორმა მინდობილობები, რომელთა თანახმადაც ადვოკატებს უფლება აქვთ მორიგება და სხვა პროცედურები აწარმოონ, ზოგიერთი ადვოკატი კი, კლიენტის ნდობით ბოროტად სარგებლობს. ვიმეორებ, მოსამართლე ვერავის დაუდგება ადვოკატად, ის მხარეების პოზიციებს ისმენს და შეჯიბრობითობის პრინციპით გამოაქვს გადაწყვეტილება, თუ მხარეები რაღაცაზე მორიგდებიან, მოსამართლე დაეთანხმება მათ გადაწყვეტილებას. სასამართლო პროცესი როცა იწყება, პოსამართლე პირველად იმას აცხადებს ვინ ესწრება პროცესს და რა საქმე იხილება, რის შემდეგაც მისი პირველი წინადადებაა, მხარეები ერთმანეთში ხომ არ მორიგდებით, რა წინადადებები გაქვთო. მორიგების შესახებ სარჩელში და შესაგებელშიც არის მითითებული. თუ ადვოკატი უსინდისო, ფულზე უზომოდ შეყვარებული პიროვნებაა, ის თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ზურგს უკან შედის გარიგებაში მეორე მხარესთან. არის შემთხვევა, როცა მხოლოდ ადვოკატი ესწრება სასამართლო სხდომას, ან ყველა ხომ არ ერკვევა იურიდიულ ნიუანსებში. სარჩელში მითითებულია ორივე მხარის ტელეფონის ნომრები, ადვოკატები ურეკავენ ერთმანეთს და შემდგომში ხდება ფარული გარიგება, თანხმდებიან რაღაც პირობაზე, რაც ცხადია, უანგაროდ არ მოხდება. ერთ-ერთმა ადვოკატმა რუსულენოვან ადამიანს გენერალური მინდობილობა გააფორმებინა, რომელიც ქონების განკარგვის უფლებას აძლევდა, 8.000 აშშ დოლარად ჰქონდა გაყიდული ეს ბინა და უკვე სასამართლოზე ხდებოდა ამის დამტკიცება. მორიგებას ეძახიან ამას, რასაც სასამართლო პროცესზე გააჟღერებენ და მოსამართლე ამას ადასტურებს. ამ შემთხვევაში ადვოკატმა ფაქტობრივად მოატყუა თავისი დაცვის ქვეშ მყოფი, რომელიც ქართულ ენას ვერ ფლობდა, ამ ადამიანს რომ ეგონა ქონებას უკან დაიბრუნებდა, სინამდვილეში მეორე მხარეს დარჩა. სასამართლოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის ბრძანებულებაზე მაღლა დგას, ის კანონიერ ძალაში რომ შედის, აღარაფერი ეშველება. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფიც მოატყუეს, ადვოკატი მას მეგობრობას ეფიცებოდა, ხშირად სტუმრობდა, ერთი სიტყვით, სრულ ნდობაში შევიდა კლიენტთან, რომელიც დარწმუნებული იყო რომ საქმეს მოიგებდა, მაგრამ დაკარგა ქონება ბათუმშიც და რუსთავშიც, რადგან ადვოკატები მეორე მხარეს ფარულად გაურიგდნენ. ხელახლა შევიტანეთ სარჩელი, მოსამართლემ წარმოებაში მიიღო, მაგრამ საქმე განუხილველი დატოვა, რადგან ორი მოპასუხე ვერ დავადგინეთ სად ცხოვრობდნენ. ეს უძრავი ქონებები სადაც მდებარეობდა, ის ქუჩები ორად გაიყო, სახელებიც შეეცვალა და პოლიციამ ვერაფრით დაადგინა მოპასუხეების მისამართები. კვლავ შევიტანეთ სარჩელი, მოსამართლემ წარმოებაში მიიღო და იმედი გვაქვს, რომ ახლა მაინც შევძლებთ სამართლიანობის აღდგენას. ასეთი თაღლითობები იშვიათობას არ წარმოადგენს, ამიტომ არის აუცილებელი, რომ იუსტიციის სამინისტრომ საადვოკატო სფეროც თავის თავზე აიღოს, სახელმწიფომ უნდა გააკონტროლოს, რა კომპეტენციის და მორალის ადამიანებს ენიჭებათ ადვოკატობის უფლება, რომ მათ დაცვის მაგივრად, არ დააზარალონ ჩვენი მოქალაქეები.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

საქართველოს უსაფრთხოების სამსახური არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესაბამისად წარმატებულად მოქმედებს

„საერთო გაზეთს“ ანალიტიკოსი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, გენერალი ამირან სალუქვაძე ესაუბრა:

– ბატონო ამირან, 10 აპრილს პარლამენტის სამი კომიტეტის დახურულ სხდომაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში მოისმინეს. თემაზე დისკუსია დახურულ ფორმატში შედგა. როგორ ფიქრობთ, რამდენად სრულყოფილია ეს ანგარიში?

– მე ანგარიშის დახურული ნაწილი არ მინახავს, საგარეო დაზვერვის სამსახურში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება მკარნახობს, რომ საფრთხეებისა და რისკების ნაწილში მხოლოდ რუსეთზე არ იქნება საუბარი, ოღონდ ეს იქნება დახურული ფორმატისთვის. საგარეო დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურებს შორის მუდმივი კომუნიკაციაა, ამიტომ მეტ-ნაკლებად ვიცი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური რა საფრთხეებზე მუშაობს. დახურული ფორმატის პრაქტიკას უამრავი სახელმწიფო მიმართავს, რადგან საფრთხეების გარკვეული ნაწილი საჯარო განხილვისთვის დახურულია. რა თქმა უნდა, რუსეთი ძირითადი და მთავარი საფრთხეა, მაგრამ თუ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც კავკასიაში ინტერესები აქვს, ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენს, სპეცსამსახურები ამ საფრთხეების განეიტრალებაზეც მუშაობენ. ამ ინფორმაციის გასაჯაროება რომ საჭირო იყოს, ამას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გააკეთებდა. რაც შეეხება რუსეთს, ძირითადი საფრთხეები სწორედ რუსეთის პოლიტიკისა და იმ გარემოებებისგან მომდინარეობს, რაც ოკუპაციას ახლავს. აღსანიშნავია, რომ შარშანდელ ანგარიშთან შედარებით, წლევანდელი უფრო დეტალურია და მასში სიახლეებია გაწერილი. კერძოდ, პროპაგანდა, რომელსაც რუსეთი პირდაპირ ან ირიბად ახორციელებს საქართველოში, და სოციალურ ქსელებში არსებული ფეიკ-გვერდები, რომლებსაც საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ, ცრუ მოლოდინებს და შიშებს აჩენენ და ქვეყნისთვის ზიანი მოაქვთ. რა თქმა უნდა, ეს დასავლური განწყობების გაუარესებას და რუსეთის პროპაგანდას ემსახურება და კარგია, რომ ანგარიშში აისახა.

– ასახვა კარგია, მაგრამ ალბათ, არასაკმარისი. ყველამ ვიცით, რომ სოციალურ ქსელებში გახსნილია გვერდები, სადაც ღიად თუ შეფარულად, ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერისკენ მოუწოდებენ, ქართველ ხალხს ანგარიშსწორებით ემუქრებიან და ა.შ.

– რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით სპეცსამსახურებმა შესაბამისი ზომები უნდა გაატარონ. როგორც იცით, ახლახან Facebook- ის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი მონაცემთა კონფიდენციალურობის სკანდალის გამო ამერიკის კონგრესში დაიბარეს და სავარაუდოდ, უახლოეს ხანებში,

Google-ს და Twitter-ის ხელმძღვანელებსაც დაიბარებენ. ალბათ,უახლოეს ხანებში, სოციალური ქსელები შეცვლიან პოლიტიკას და დარეგისტრირებისთვის ვინაობის იდენტიფიკაცია აუცილებელი გახდება, თუმცა აუცილებელი არაა ცუკერბერგს ველოდოთ. ჩვენ ჩვენი საფრთხეებისა და გამოწვევების შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ.

– ამბობენ, რომ ბოლო დროს აჭარაში თურქული სპეცსამსახურები ღიად მოქმედებენ. რამდენიმე დღის წინ სარფის საბაჟოზე თურქმა მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე სასტიკად სცემეს და ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია.

– მე ამას საფრთხეების კატეგორიაში ვერ განვიხილავ, რადგან, შესაძლოა, კონფლიქტი საყოფაცხოვრებო თემას უკავშირდებოდეს. გასაგებია, რომ მწვავე თემაა, მაგრამ დასკვნების გაკეთება გამოძიების შემდეგ უნდა მოხდეს. რამდენიმე დღის წინ ბელიაშვილის ქუჩაზე მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ზოგიერთებმა რასიზმზე დაიწყეს საუბარი, რაც აბსოლუტური სისულელეა. ეს ელემენტალური გაუნათლებლობის საკითხია, გაუნათლებლები კი თურქეთშიც არიან და საქართველოშიც. შესაძლოა, თურქეთიდან რაღაც გამოწვევები მომდინარეობდეს, მაგრამ ვიმეორებ, ანგარიშის კონტექსტში ამაზე ღიად ვერ ვისაუბრებ. ანგარიშის დახურული ნაწილი დასახური რომ არ ყოფილიყო, მაშინ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გაასაჯაროებდა.

– ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ინფორმაციით, საპრეზიდენტო ვადის ბოლო თვეებში მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა თურქეთის 3 464 მოქალაქეს მიანიჭა. ამ პროცესების კვალდაკვალ, აჭარაში შესამჩნევად გაიზარდა თურქეთის გავლენა.

– თუ ამ საკითხს ანგარიშისგან განვაცალკევებთ, გეტყვით, რომ ჩვენ წლების განმავლობაში არ ვაქცევდით ყურადღებას აჭარაში თურქული გავლენის ზრდას. თავის დროზე ტელევიზიით, ღიად ვრცელდებოდა ინფორმაცია თურქეთის სასაზღვრო რაიონებში მცხოვრებთათვის საქართველოს მოქალაქეობის მასიურად მინიჭების შესახებ. ვინ და როგორ შეუწყო ხელი ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებას, ეს ცალკე საუბრის და გამოძიების თემაა. შესაძლოა, ის რაც აჭარაში ან თბილისის ზოგიერთ ქუჩაზე ხდება, შესაძლოა, საზოგადოებისთვის გამაღიზიანებელი იყოს და სახელმწიფოსთვის გამოწვევას წარმოადგენდეს, მაგრამ შესაბამისმა სამსახურებმა ამაზე ზედმეტი აჟიოტაჟისა და ხმაურის გარეშე უნდა იმუშაონ. რაღაც ისე უნდა გავაკეთოთ, რომ საინვესტიციო გარემო არ დავაზიანოთ და ნაბან წყალს ბავშვიც არ გადავაყოლოთ.

– სუს-ის ანგარიშს დავუბრუნდეთ, სადაც წერია, რომ საქართველოში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირითად ამოცანას დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით ანტიდასავლური განწყობების გაღვივება წარმოადგენს. ამან პარლამენტის თავმჯდომარის მიერ FREEDOM HOUSE და NDI-ის თბილისის ოფისის მისამართით რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადება გამახსენა. ირაკლი კობახიძემ ეს ორგანიზაციები არაობიექტურობასა და საკუთარი ხელისუფლების შეურაცხყოფაში დადანაშაულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ, შეიძლება, დასავლური ორგანიზაციებიც სცოდავდნენ..

– პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავისი მოსაზრებები ჰქონდეს და, გარკვეულწილად, შეიძლება დავეთანხმო, თუმცა, ამ თვალსაზრისით, მე მეტი თავისუფლება მაქვს, ვიდრე პარლამეტის თავმჯდომარეს. რაც შეეხება კონკრეტულად NDI-ის და სხვა ორგანიზაციებს, ჩემი აზრით, მათ მიერ სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები და დასკვნები ხშირად რეალობას არ შეესაბამება. ზოგჯერ იმ ორგანიზაციებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მუშაობა, რომლებიც თავს პროდასავლურად აღიქვამენ, პირიქით, ხელს უწყობენ პრორუსული განწყობების გაძლიერებას. ამიტომ ყველა, ვინც დაინტერესებულია, რომ საქართველომ დასავლური კურსი გააგრძელოს, უარი უნდა თქვას ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებზე და საკუთარ განცხადებებს, დასკვნებს და კვლევებს მეტი პასუხისმგებლობით მოკიდოს.

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ რუსეთის ხელისუფლების მისამართით გაკეთებული მიმართვის შემდეგ რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე ამერიკის ელჩმაც განაცხადა. ამის მიუხედავად, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისა და მათი მხარდამჭერებისთვის

რუსეთთან დიალოგი სამშობლოს ღალატის ტოლფასია. თქვენი აზრით, რა არის შექმნილ მდგომარეობაში საუკეთესო გამოსავალი?

– კვირიკაშვილის განცხადება საკმაოდ დაბალანსებული იყო და იმაზე მეტყველებდა, რომ საქართველო მზად არის განმუხტოს საოკუპაციო ზონაში არსებული ვითარება. ვერავინ უარყოფს, რომ საფრთხეები არსებობს. ისიც ვიცით, რომ ამ საფრთხეებს განეიტრალება სჭირდება, მაგრამ რა გზით და მეთოდებით უნდა მოხდეს, ეს ცალკე თემაა. რაც შეეხება საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ეს რუსეთთან სავაჭრო თემა არაა და რუსეთს მოწონს თუ არ მოწონს, ამასთან შეგუება მოუწევს. არჩილ ტატუნაშვილის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ვისთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარი ჩავრაზოთ და საუბარი არ გავაგრძელოთ. სხვათა შორის, დიალოგის აუცილებლობაზე მარტო იან კელის არ უთქვამს, ანალოგიური იყო ევროკავშირის ელჩისა და ნატოს გენერალური მდივნის პოზიცია. ერთ-ერთმა ამერიკელმა ექსპერტმა ისიც აღნიშნა, რომ 30-მდე სახელმწიფოდან, რომლებმაც რუსი ელჩების გაძევების გადაწყვეტილება მიიღეს, საქართველო ყველაზე დაუცველია, რადგან რუსეთი ჩვენი უშუალო მეზობელია და ჩვენი ორი რეგიონი ოკუპირებული აქვს. ამასთან, სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ არც ნატოს და არც ევროკავშირის „ქოლგის“ ქვეშ არ ვართ. აი, ამაზე უნდა ვიფიქროთ, როცა მთავრობა წერილებით და მიმართვებით ცდილობს საფრთხეების შერბილებას. პოლიტიკურმა ჯგუფებმა უნდა დაასრულონ კინკლაობა და ისეთი პოლიტიკის გატარებაზე შეთანხმდნენ, რომელიც საქართველოს დასავლეთთან და დეოკუპაციასთან დაახლოვებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

რედაქციისაგან: ადამიანები მშვიდობის ფასს მხოლოდ მაშინ გრძნობენ, როცა ის არ არისო – ნათქვამია.

საქართველოში დღეს მშვიდობაა, რაშიც უდიდესი წვლილი საქართველოს უსაფრთხოების სამსახურსაც მიუძღვის, თუმცა ეს წვლილი, ამ სამსახურის მუშაობის სპეციფიკურობის გამო, ზოგჯერ კონკრეტული ფაქტებით არ არის გაცხადებულ-დადასტურებული.

გამომდინარე აქედან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბევრი რამ, რაც სუს-მა ამ საანგარიშო პერიოდში გააკეთა ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, მის ანგარიშში საჯაროდ და სახალხოდ ვერ გაჟღერდებოდა...

სუს-ის მუშაობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი, როგორც ვთქვით, ის არის, რომ საქართველოში მშვიდობაა, ამის უკან კი ძალიან ბევრი ადამიანის უძილო ღამეები და თავდაუზოგავი შრომა დგას.

სად იყვნენ ეს ქალთა უფლებების დამცველები მაშინ, როდესაც საააკაშვილის დროს ციხეები სავსე იყო უდანაშაულო ქალებით?

საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, გოგონებსა და ქალბატონებს მამაკაცები ყოველთვის ეუბნებოდნენ ქათინაურს, თუნდაც უცხო ყოფილიყო. ქალბატონები შექებას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამდნენ და ამით ამაყობდნენ კიდეც. ისიც აღსანიშნავია, რომ მამაკაცები ზრდილობისა თუ ეთიკის ნორმებს ოდნავადაც არ არღვევდნენ. ჩვენში ქალს განსაკუთრებული ადგილი რომ ეკავა, არახალია. ერთსაც გავიხსენებ ჩვენი სიჭაბუკიდან — ბიჭს, რაც უნდა განაწყენები-

ნა მეორე ბიჭი, შეხვედრისას თუ მას გოგონა ახლდა, ხმას არავინ გასცემდა. ეს გახლდათ ქალის და კაცის, საერთოდ, ადამიანის და საკუთარი თავის პატივისცემა. სამწუხაროდ, ახლა ასეთ რაინდობაზე წარსულ დროში გვიხდება საუბარი.

კაცობრიობა წინ წავიდა, განვითარების მაღალ დონეს მიაღწიაო, ხშირად გვსმენია. თუმცა ბოლო დროს, მიუხედავად უდიდესი ტექნიკური პროგრესისა, ეჭვი მეპარება ამაში. თითქმის ყოველ კვირას ქართული ტელევიზიებიდან გვესმის: „მავანმა კაცმა მავანი ქალი სექსუალურად შეავიწროვა, არიქა, მისი უფლებები უნდა დავიცვათო“. რას ნიშნავს „სექსუალური შევიწროება“ და მართლაც ასეთი საგანგაშო მდგომარეობაა თუ არა საქართველოში, ამის შესახებ გვესაუბრება უფლებადამცველი **გრიგოლ გაგნიძე**.

— ბატონო გრიგოლ, რას ნიშნავს „სექსუალური შევიწროება“ და რა მიზანს ემსახურება ამ თემის გააქტიურება?

— დავიწყოთ იმით, რომ „სექსუალური შევიწროება“ ჩვენთან ახალი მოვლენაა. თემის გააქტუალურებას შორსმიმავალი მიზნები აქვს. გარკვეულმა პირებმა, ადვილი შესაძლებელია, ეს შანტაჟისთვის გამოიყენონ, რისი საშუალებითაც ზოგიერთი სასურველ თანამდებობას ჩაიგდებს ხელში, ზოგიერთი გზიდან ჩამოიცილებს კონკურენტს, ზოგიერთიც, უბრალოდ, ვინმეს გაამწარებს. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები უკვე გვაქვს.

— კი, მაგრამ, რას ნიშნავს სექსუალური შევიწროება და დასჯადია თუ არა?

— კანონით სექსუალური შევიწროება არ ისჯება. სისხლის სამართლის კოდექსში, საბედნიეროდ, ჯერ არ ჩაუწერიათ (დასჯადი მხოლოდ ძალადობაა). როგორც უკვე გითხარით, ახალი თემაა და თავად პირზე, ქალზეა დამოკიდებული, რას მიიჩნევს სექსუალურ შევიწროებად — ხელით შეხებას, ლოყაზე ამბორს თუ, უბრალოდ, შეხედვას. ვერ დაითვლით, უკვე

რამდენმა ქალმა გაიკეთა კარიერა სექსუალური შევიწროების შანტაჟით — ერთსაც გეტყვით, თუ გენდერულ თანასწორობაზე საუბრობენ და ითხოვენ, მაშინ გავიწვიოთ ქალბატონები სავალდებულო სამხედრო სამსახურში, როგორც ისრაელშია და დაიცვან სამშობლო.

— თქვენ თქვით, რომ უკვე გვაქვს შევიწროების ბრალდების მაგალითები. იქნებ, დაგვისახელოთ...

— კი, ბატონო, საჯარო რეესტრის ხელმძღვანელმა პაპუნა უგრეხელიძემ დატოვა თანამდებობა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრობის კანდიდატობას ზვიად დევდარიანი ჩამოაშორეს. ორივე ერთი მიზეზით — სექსუალური შევიწროების ბრალდებით. ორივე საქმე ჯერ კიდევ მოკვლევის პროცესშია და ენახოთ, როგორ დასრულდება. საერთოდ, ნებისმიერ საკითხში ორივე მხარის უფლებები უნდა იყოს დაცული. იმას, რა ფორმითაც იბრძვიან ეს ადამიანები თავიანთი უფლებების დასაცავად, მე, პირადად, რადიკალურ ლიბერალიზმს დავარქმევდი, რაც დიქტატურაზე ნაკლებად საშიში არ გახლავთ. ლიბერალად მეც ვთვლი საკუთარ თავს, მაგრამ საკანონმდებლო ლიბერალიზაციის მომხრე ვარ და არა რადიკალიზმის. იმასაც გეტყვით, რომ დევდარიანი სამი შვილის მამაა, შვილი ჰყავს უგრეხელიძესაც და საჯარო ბრალდებების დროს

ოჯახის ფაქტორი აუცილებლად არის გასათვალისწინებელი, რათა სხვა ადამიანებიც არ დავაზარალოთ, თუნდაც მორალურად.

— ბატონო გრიგოლ, თქვენი აზრით, რა გახდა დევდარიანზე და უგრეხელიძეზე განხორციელებული შეტევის მიზეზი?

— დევდარიანი, ფაქტობრივად, თავისივე კოლეგებმა, ქალთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ გაწირა. აქვე გეტყვით, რომ სახალხო დამცველის და, საერთოდაც, უფლებადამცველი ორგანიზაციების დაპირისპირებაა, რამდენიმე ფრთად დაიშალნენ ისინი. დევდარიანი ეკა გიგაურის რადიკალური ლიბერალების გუნდში იყო და ამიტომაც გაიმეტეს. რაც შეეხება პაპუნა უგრეხელიძეს, იგი იუსტიციის მინისტრისა და ყოფილი სახალხო დამცველის ნანუაშვილის დაპირისპირებას გადაჰყვა. სკანდალის გასაჯაროების შემდეგ ლიბერალები სწორედ თეა წულუკიანის გადადგომას ითხოვდნენ. ეს გახლდათ იუსტიციის სამინისტროზე და ქალბატონ თეა წულუკიანზე განხორციელებული არაპირდაპირი შეტევა.

— ახლა, შესაძლოა, მავანი შემოგვედაოს, თითქოს გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების დაცვის წინააღმდეგები ვართ.

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ქალთა უფლებებიც დამიცავს და კაცისაც. არ შეიძლება კანონი საკუთარი ორგანიზაციის ინტერესებს მოარგო, როგორც ამას ახლა ზოგიერთი ცდილობს. ერთიც ვიკითხოთ, სად იყვნენ ეს უფლებადამცველები, როდესაც სააკშვილის რეჟიმის დროს ციხეები სავსე იყო ქალებით, მათ შორის, სრულიად უდანაშაულოებით. მაშინ ხმა ამათგან არავის ამოუღია და ახლა გააქტიურდნენ.

— როგორ ფიქრობთ, რა მიზნები ამოძრავებთ?

— მათი მცდელობაა ქართველი მამაკაცის ინსტიტუტის დაკნინება. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში ოდითგანვე იყო და, იმე-

დია, მომავალშიც იქნება ქალის კულტი. ამის დანგრევაც სურთ. გენდერული უთანასწორობის, სექსუალური შევიწროებისა თუ ქალებზე ძალადობის თემა შემოგდებულია. მავანს გრანტების მიღება სურს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რადიკალური ოპოზიციის წაქეზებით მოქმედებენ და თემას ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენებენ. გახსოვთ, ალბათ, წლების წინ არასასურველ ოპონენტს სუკის, კრემლის და სხვა ქვეყნების თუ ორგანიზაციების აგენტების იარლიყს აწებებდნენ, ახლა სექსუალურ მოძალადეს დაარქმევენ და მორჩა, დაუნგრევენ კარიერას, ოჯახს.

— კაცებს თუ გვაქვს უფლება, დავადანაშაულოთ ქალები სექსუალურ შევიწროებაში?

— კი, გვაქვს, მაგრამ გა-

აკეთებს კი ამას ვინმე? საერთოდაც, ქალი ყოველთვის ცდილობს, ლამაზად, სექსუალურად გამოიყურებოდეს, მოაწონოს კაცს თავი. ეს ხომ ბუნებრივია. სექსუალური შევიწროების თავიდან ასაცილებლად დავუწესოთ მათ, თუ როგორ ჩაიცვან, რათა არ გააღიზიანონ მამაკაცი. ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ კანონის გაუაზრებლად მიღებით, ადვილი შესაძლებელია, ლამაზ, კეკლუც ქალებს მოესპოთ კარიერული განვითარების შესაძლებლობა, რადგან ძალადობის ბრალდების შიშით ხელმძღვანელი მამაკაცები მათ სამსახურში მიღებაზე, უბრალოდ, უარს იტყვიან.

ამიტომ, ვიდრე კანონს მიიღებენ ჩვენი კანონმდებლები, აუცილებელია ყველა დეტალის გაანალიზება და არა ემოციებზე აყოლა.

— როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როდესაც ტყუილად, შანტაჟის მიზნით ადანაშაულებენ სექსუალურ შევიწროება-ძალადობაში?

— სიმართლის დასადგენად საჭიროა ბოლომდე ბრძოლა. სჯობს, პიროვნებამ საჩივარი პროკურატურაში შეიტანოს, სადაც შეისწავლიან, გამოიძიებენ ფაქტს, გამართლების შემთხვევაში, პირი მომჩივანს ცრუ დასმენისთვის უჩივლებს, რომელსაც ბოდიშის მოხდის ნაცვლად პატიმრობაც კი შეიძლება შეეფარდოს.

გია ბურდული
551 71 27 07

რა ვუყოთ, რომ თეთრი ვარ?

ეთერ ლაცაბია

ნიგერიელებმა და თბილისის მერმა, ნიგერიელებმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ფეხბურთი და კალათბურთი ითამაშეს და საფეხბურთო კონფლიქტი ამოიწურა - გვეშველა.

მწვადიც უჭამიათ, არ არიან ჩემი ნიგერიელები მშივრები, ამოვისუნთქე.

სხვა მოედანზეც მომხდარა კონფლიქტი - ქართველ ბიჭებს ქართველ ბიჭებთან უჩხუბიათ და მერს ვითხოვთ და პარლამენტის თავმჯდომარეს, ვერ ვშოშმინდებით სხვანაირად, ვერ ვწყნარდებით.

მიიწვია გაბუნიამ პირდაპირ ეთერში მხარე ნიგერიელი სამუელ ალავოდი - ხოდა, მისხალ-მისხალ და პატიოსნად მოყვა სამუელი: რომ მივედით ბავშვები თამაშობდნენ და ერთი წავაქციეთ, ამიტომ, ვთხოვეთ, მოედანი დაეტოვებინათო.

ხოდა, ეკითხება გაბუნია: - როგორ ფიქრობთ, ბავშვებს მართლა უნდოდათ თამაში მოედანზეო?

მართლა არ ენდომებოდათ, იტყუებოდნენ, ცრუობდნენ - ის რა ბავშვია, რომელსაც თამაში უნდა. ბავშვი ვიცი მე ტელევიზორთან და კომპიუტერთან.

უნდოდათ თამაში კი არა - თამაშობდნენ ბავშვები მოედანზე, თამაშობდნენ.

თუ დავინახავ, რომ ბავშვები გაყარეს მოედნიდან ზრდასრულმა კაცებმა - კანის ფერის გარჩევას დავიწყებ? - კანის ფერის მიხედვით უნდა ვიმოქმედო?

რა ვუყოთ, რომ თეთრი ვარ?

ეროვნების ნიშნით განვასხვავო, ვის აქვს ბავშვების თამაშისთვის ხელის შეშლა და ვის არა?

რა ვუყოთ, რომ ქართველი ვარ.

ხელის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხს - ბაზუკას გვიმიზნებდნენ ქართველებიო. სად წავიდა მერე ის ბაზუკა, სადაა ბაზუკადან გატყორცნილი ჭურვი?

არა, ახლა, ყველა ნამდვილი ქართველის სახლში ერთი ტანსაწინააღმდეგო ბაზუკა კი დევს, მაგრამ ასე წარამარა კი არ ვისვრით.

რაის ბაზუკა, რა ტანკსაწინააღმდეგო, რის ჭურვი.

ეს ნიგერიელები კი ისხდნენ წელგამართულები და ხერხემალში გაშლილები და ქართველს დაჟეჟილი თუ დალეწილი ხელი ჰქონდა ჩამოკიდებული ბინდით კისერზე. კაციშვილი არ ეკითხება, რა დროს იტკინა ხელი, როგორი დაზიანება აქვს, კიდევ ვინმეს ხომ არ აქვს დაზიანება.

ყვება თვითმხილველი, როგორ სცემდა 30 ნიგერიელი ერთ ქართველს და ჟურნალისტი ეუბნება, ეგ არ მინდა, ის მოყევი, 30 ქართველი რომ ერთ ნიგერიელს სცემდაო.

მოყვა ამას პოსტები ღრუზინობაზე, კანის ფერზე, ტოლერანტობაზე, ქაჯობაზე, დისკრიმინაციაზე.

რა ვუყოთ, რომ თეთრი ვარ, რა ვუყოთ, რომ ქართველი ვარ, ამის გამო სულ მე რატომ უნდა ვიყო თავჩახრილი - განა შეიძლება, კანის თეთრი ფერის და ეროვნების გამო, ჩემს ქვეყანაში ვისჯებოდე?

იუნონა შაფათავამ - შავი შვილები მეყოლება მე და ზანგს ვინც დაუძახებს, გავხევ შუაშიო.

აუ, გგონიათ ფერადკანიანები არ გვეძახიან - თეთრებს ზედმეტსახელებს? რა ვქნა, გავხიო შუაში?

შავი პურის ჭამას ვიწყებ ხვალიდან, შავებს ვიცმევ ხვალიდან, შავად ვიღებავ სახეს ხვალიდან, ტელეფონი უნდა გამოვცვალო - თეთრი ხაზი დაყვება გვერდზე, ემანდ ვინმემ არაფერი იფიქროს, რომ მოვკვდები, შავ კუბოში ჩამაწვინეთ - სახალხოდ ვიბარებ.

რა ვუყოთ, რომ თეთრი ვარ, რა ვუყოთ, რომ ქართველი ვარ, თორემ, ნიგერიელი რომ ვიყო, მეც და ჩემს შვილსაც ხომ შეგვიწვავდა ქალაქის მერი მწვადს.

რა დისკრიმინაციაზე ვსაუბრობთ, გაგდებული აქვს ჩემი ქალაქი ყველა ჯურის ჩამოსულს, რამდენიმე წლის წინ, პლეხანოვზე „სტაიშნიკს“ თურქეთის მოქალაქემ ჯოხი ჩაარტყა თავში და უბნის ინსპექტორმა გაუშვა თურქეთის მოქალაქე, პატრულიც არ გამოიძახა - დაზარალებული არ უჩივისო.

სასწრაფოა გამოძახებული, კაცს თავი აქვს გატეხილი, სისხლი მოსდის - უბნის ინსპექტორი ამ ამბავს შეესწარი და პატრულსაც არ იძახებ - ანუ, მე რომ ხვალ მომკლან, თუ არავინ იჩივლა - შერჩება მკვლელს?

აბა, ქართველს ჩაერტყა? - რა ვუყოთ, რომ ქართველი ვარ, რა ჯანდაბა ვუყოთ.

მე თეთრი ქართველი ვარ, საბურთალო ინდოელებს დამუთმე, პლეხანოვი თურქებს და არაბებს, ყველა სხვა უბანი ნიგერიელებს და აფრიკელებს, ჩინელებს და პაკისტანელებს - რა ვქნა მეტი, რა შემიძლია კიდევ მოგცეთ, რა უნდა გავიღო კიდევ, რომ ლიბერალი გამოვჩნდე და დემოკრატი გეგონოთ? რა გავაჩუქო კიდევ, რომ დისკრიმინაციაში აღარავინ დამდოს ბრალი?

რა ვუყოთ, რომ თეთრი ვარ? - მე დავწვი, ბატონო?

რატომ უნდა ვაგო პასუხო, ოდესღაც მსოფლიოში ჩადენილ ყველა დანაშაულზე პასუხი მე.

ამას წინათ, ერთი ევროპული ქალაქის მერმა პაკისტანელებს განუცხადა: ჩვენ ოდესღაც მიგიღეთ და ცხოვრების უფლება მოგეცით, მაგრამ ის კი არ გვიგულისხმია, რომ ჩვენ ჩვენს ტრადიციებს ვუღალატებთ და თქვენსას მივიღებთ - კეთილი ინებეთ და ჩვენი ცხოვრების სტილს შეეგუეთო.

სად გვაქვს ჩვენ ცხოვრების სტილი, მაგრამ ჯერ კიდევ ვიცით, რომ ბავშვს კი არა, ძაღლს უნდა აცადო თამაში.

ცხოვრობს ნიგერილი 5 წელი ჩემს გვერდით, ერთი სიტყვა ქართული არ იცის, არ სჭირდება, არ მცემს პატივს და არ ვუყვარვარ, არ უნდა ჩემი ენის სწავლა - მე რომ ნიგერიაში ჩავიდე - ჩემს ქართულს ვინ გაიგებს, ვინ გამაგდებინებს ნიგერიელის ბავშვებს მოედნიდან, რომელი ნიგერიელი მერი დამაპურებს?

ხოდა, გავიგე, რომ უნდა ცხოვრობდეს, მაინც და მაინც ჩემს გვერდით უნდა ცხოვრობდეს ნიგერიელი და ჩინელი, ინდოელი და არაბი, თურქი და ერაყელი - გავიგე, კარგი - მაგრამ, ჩემს ქართველზე მეტად რატომ უნდა მიყვარდეს, რისი უფლებაც ჩემს ქართველს არა აქვს, იმის უფლებას რატომ ვაძლევთ მათ - ეგ ვერ გავიგე და გამხიოს თუ უნდა იუნონამ შუაზე, რა ვქნა.

ბიუჯეტს ვავსებთ მაგ შემოსული ადამიანებითო - მეუბნებიან, ხმა არ გაიღო, ჩუმად იყავიო. აუ, წლებია, ჩამოდიან და ჩამოდიან და შევსებული ბიუჯეტი მე ვერ დავინახე, ვერც ცხოვრების გაუმჯობესება დავინახე და ეგენი ავსებენ ბიუჯეტს და მე ვაკლებ ღამე ჩუმად, თუ როგორაა საქმე?

რა ვუყოთ, თუ თეთრი ვარ, მეც მინდა თამაში, მეც მინდა ცხოვრება, მეც მინდა სამართალი.

რა ვუყოთ, თუ ქართველი ვარ, მეც მინდა სამსახური, მეც მინდა სახლი, მეც მინდა პარლამენტის თავმჯდომარის და ქალაქის მერის, თუნდაც, მორალური მხარდაჭერა.

555 46 08 04

ძლიერი რეგიონები

პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“ სოფლად – ახალგაზრდა მეწარმეების მხარდასაჭერად

დაფინანსებას მიიღებენ საქართველოში რეგისტრირებული ახალგაზრდა მეწარმეები (18–35 წლამდე მამაკაცები და 18–40 წლამდე ქალები) ან მათ მიერ დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ახალი ბიზნესის (სტარტაპის) დაფინანსებას, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესმიმართულებებს, გარდა იმ დარგებისა, რომლებიც უკვე ფინანსდება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საგრანტო პროგრამით.

დაფინანსდება პროექტის ღირებულების 40 პროცენტი, არა უმეტეს 60 000 ლარისა. თანამონაწილეობის თანხის მოძიება შესაძლებელია როგორც საკუთარი სახსრებით, ისე საბანკო კრედიტით (მათ შორის, შეღავათიანი აგროკრედიტით).

რეგისტრაცია და ვრცელი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: www.danida.apma.ge სააგენტოში განცხადება და თანამდევი დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგი ვებგვერდების მეშვეობით: www.apma.ge და www.danida.apma.ge

ჩოხატაური – გორაბერეჟოულის გზაზე ასფალტბეტონი იგება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში, სასაფლაოსთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარი იგება. სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

გურჯაანის ტურისტული პოტენციალი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის საგარეო ურთიერთობების, საერთაშორისო პროექტების და ტურიზმის განვითარების განყოფილება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების გეგმაზე მუშაობს.

სპეციალისტები მიმართავენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, გამოთქვან თავიანთი აზრი, გურჯაანის ტურისტული განვითარების შესახებ. მოსახლეობას შეუძლია ადგილობრივ ხელისუფლებას თავისი მოსაზრებები გაუზიაროს შემდეგ მისამართზე: gurjaanitourism@gmail.com

გამწვანების აქცია სოფელ მაჩხაანში

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ორგანიზებით, სოფელ მაჩხაანში გამწვანების აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გოგილაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ილია ხატიაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სოფლის მცხოვრებლები.

სამოცი ძირი წიწვოვანი ნერგი სათამაშო მოედნის, ორი დასასვენებელი სკვერის, ტაძრისა და „ფანიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განაწილდა.

2018 წელს გამწვანების აქცია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში იგეგმება.

სიღნაღი

დუშეთი – საქველმოქმედო აქცია სოფელ თხილიანაში

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზაქარია ხეხელაშვილი და ომში დაღუპულთა შემწეობის ფონდის – ,,მეოხი 2004“-ის ხელმძღვანელი თემურ მირაქიშვილი უკანაფშავის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. თხილიანაში მცხოვრებ ზაზა ჯაბანაშვილის მრავალშვილიან ოჯახს ესტუმრნენ. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და,, მეოხი 2004“-ის სახელით ოჯახს საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო ნივთები, რაგბის ბურთი და ველოსიპედი გადასცეს.

ფოთი – მალთაყვის განვითარების საპროექტო წინადადებების განხილვა

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მალთაყვის განვითარების პროექტის საჯარო განხილვას ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი დარბაზის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

„წინასაპროექტო კვლევა და ხედვა მალთაყვის სარეკრეაციო ტერიტორიის განვითარებისათვის“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა ნინო გვენცაძემ და შპს „ურბანიკას“ დირექტორმა ირაკლი მურღულიამ წარადგინეს. პროექტის საბოლოო სახით შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნება საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებები.

დუშეთი

სენაკის მუნიციპალიტეტში

● სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე, გარე განათების ბოძებზე მიმდინარეობს 150-ვატიანი ნათურების 50-ვატიანი დიოდური LED-ნათურებით ჩანაცვლების პროცესი. ანალოგიური სამუშაოები გაგრძელდება ქალაქის მასშტაბით. ამ ეტაპზე დამონტაჟდება 360 დიოდური ნათურა, რის შედეგადაც ეკონომია წლიურად 24000 ლარი იქნება.

● ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო — ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ახორციელებს პროგრამას „ინტერნეტი განვითარებისთვის“, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს რეგიონებში, ადგილობრივი მეწარმეებისთვის იმართება უფასო ტრენინგები ციფრულ წიგნიერებასა და ელექტრონულ ბიზნესში. პროგრამის მიზანია საქართველოს რეგიონებში ფართოზოლოვან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ელექტრონული კომერციის დონის ამაღლება.

ტრენინგი ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია მიმდინარე წელსაც აგრძელებს მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამას. განცხადებების ადგილზე შემოწმებისა და ოჯახების ანკეტირების პროცესი დასრულებულია. წელს მერიაში „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამაში ჩართვის მსურველთა 78 განცხადებაა შესული. აღნიშნული პროგრამისთვის 100 000 ლარი

ძლიერი საქართველოსთვის

ზუგდიდი

დაიხარჯება და 20 ოჯახი ჩაერთვება. 2017 წელს „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამით 11 ოჯახმა ისარგებლა.

● სანიაღვრე არხები გაიწმინდა ყულიშკარის, დიდინეძისა და მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულებში. მსგავსი სამუშაო იგეგმება კოკში, ცაიშში, ცაცხვსა და ორსანტიაში. მიმდინარეობს მწვანე საფარის მოწესრიგებაც.

● ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე ოჯახს საშეშე მერქანი გადაეცა.

● ჯანდაცვის კომისიამ 37 მოქალაქეს სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება დაუფინანსა. გახარჯულმა თანხამ 11125 ლარი შეადგინა.

ჩხოროწყუ – მოქალაქეთა მორიგი მიღება მერთან

მუნიციპალიტეტის მერი გაეცნო ადგილობრივების საჭიროებებს. განცხადებები ძირითადად ინფრასტრუქტურულ, ჯანდაცვის, სოციალურ და დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა. დათო გოგუამ, შესაძლებლობების ფარგლებში, მოქალაქეებს დახმარება აღუთქვა.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერთან მოქალაქეთა მიღების დღეები ყოველი კვირის სამშაბათი და პარასკევია, თუმცა მერი, საჭიროების შემთხვევაში, მათ ყოველდღე იღებს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ააიპ „რეგიონების კულტურულ-საგანმანათლებლო და ბიზნესის განვითარების ასოციაცია“ ქვემო ქართლის 6 რეგიონალურ ერთეულში ახორციელებს პროექტს „დედაენა ქართული“. ფესტივალი-კონკურსი მოიცავს ბლოგს თემით,, დედაენა ქართული“. პირველი ღონისძიება ორგანიზატორებმა დედაენის დღეს დაამთხვიეს და სტარტი საბას მიწიდან, ძირძველი ტანძიიდან აიღეს. სულხან-საბას მუზეუმმა უამრავ სტუმარს უმასპინძლა, იყო ქართული სიმღერა, ლექსი და სიტყვა მადლიანი, როგორც დიდი პოეტი იტყოდა.

ფესტივალში მონაწილეობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ცამეტი სკოლა. სპეციალურად არჩეულმა ჟიურიმ გამოავლინა სამი საპრიზო ადგილის მფლობელი სკოლა, რომლებიც დაჯილდოვდნენ სამახსოვრო სიგელებით, ისტორიულ-შემეცნებითი და მხატვრული ლიტერატურის ტომეულებით. ყველა მონაწილე სკოლას გადაეცა სამახსოვრო სიგელები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბოლნისის კულტურის სახლის ანსამბლები და მომღერალთა გუნდები.

კონკურსი საზეიმოდ დაიხურება 2018 წლის 23 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დარბაზში.

მედიატური „გაიცანი დმანისი“

დმანისის მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლის გუბერნატორის ინიციატივით, მედიატური მოეწყო, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური და ადგილობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლები გაეცნენ დმანისის ტურისტულ პოტენციალს, დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები და მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი

მარნეული

პირებისგან მიიღეს ინფორმაცია ტურიზმის განვითარების მხრივ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ტატუაშვილი: „დმანისის მუნიციპალიტეტს დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი. დმანისში წლის ბოლოს გვექნება ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, რომელიც იზრუნებს მარშრუტების შექმნასა და ეკიპირებაზე, რეკლამაზე, საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების საინფორმაციო ბაზების მოძიებაზე, ექსკურსიამძღოლებისა და მოლაშქრეების დატრენინგებაზე. დმანისის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია განვითარდეს სატრანსპორტო, საფეხმავლო და აგროტურიზმი, ასევე — კულინარული ტურიზმი“.

შეხვედრა შშმ ბავშვთა სოციალური ინტეგრაციის საკითხებზე

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ შეხვედრაზე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის — „ერთად ერთმანეთისათვის“ ფარგლებში, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის საკითხები განიხილეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ქორიძემ, მოადგილემ ლია ზურებიანმა, ორგანიზაცია „ინიციატივა რეგიონული განვითარებისათვის“, შშმ ბავშვების მშობელთა ორგანიზაციის — „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების“ ხელმძღვანელმა და მერიის სოციალური განყოფილების ხელმძღვანელმა მზია მჭედლიშვილმა.

შეხვედრაზე იმსჯელეს შშმ ბავშვთა ინტეგრაციის ხელშესაწყობად სოციალური სერვისების დანერგვა/განვითარებისთვის მუნიციპალიტეტში არსებული რესურსების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სენსორული დარღვევის მქონე სმენადაქვეითებულ ბავშვთა ჯანმრთელობისა და მათი განვითარების ხელშეწყობის საკითხებს.

პროექტის ფარგლებში, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის გზით, პირველ ეტაპზე იგეგმება შშმ ბავშვთა აღრიცხვა და ინფორმაციის შეგროვება მათი საჭიროებების შესახებ, ხოლო შემდგომ — კონკრეტული ღონისძიებები.

მარნეულის მერი სოფელ ქვემო სარალის მოსახლეობას შეხვდა

მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი, პირველ მოადგილესთან ზაურ ტაბატაძესთან ერთად, სოფელ ქვემო სარალში იმყოფებოდა, სადაც სასმელი წყლის ახალი სისტემის პროექტის დატესტვის დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ.

თემურ აბაზოვი პირადად გაეცნო სოფელში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, მოისმინა მოსახლეობის პრობლემები და კომპეტენციის ფარგლებში მოგვარებას დაჰპირდა.

ბოლნისი

ქართული ენის დღე მარნეულის საჯარო სკოლებში

მარნეულის მუნიციპალიტეტში ქართული ენის დღე მასშტაბურად აღინიშნა. მარნეულის კულტურის სახლში, ქართული ენის კვირეულის ფარგლებში, ქალაქ მარნეულის დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმმა ქართული ენისადმი მიძღვნილი დასკვნითი ღონისძიება გამართა და ამით კვირეული დაასრულა. ღონისძიებაში, რომელიც შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყო, მონაწილეობდნენ ამავე სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. მათ მაყურებელს შესთავაზეს ქართული სიმღერები, ცეკვები და ლექსები.

„ერთი, მხოლოდ ერთი“

გვესაუბრება მწერალი და დრამატურგი, ბატონი გურამ ბათიაშვილი

— ბატონო გურამ, ქართულ მწერლობას დიდი ღვაწლი დასდეთ. მოგვიყევით თქვენს შესახებ, რას საქმიანობთ ახლა?

— მოგეხსენებათ, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“ და ქართულ თეატრმცოდნეობას გარკვეული სამსახური გავუწიე. ახლა გამოვცემ ებრაული თემატიკის გაზეთს „მენორა“. ეს გაზეთი ასახავს ქართველთა და ებრაელთა ისტორიულ ურთიერთობას, ებრაელთა ყოფას საქართველოში, ისრაელის ისტორიასა და დღევანდელობას.

მოგეხსენებათ, საქართველოს ებრაელობა ისტორიულ სამშობლოს უბრუნდება. ეს პროცესი გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო და დღემდე გრძელდება. დღეს ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწილი ისრაელში ცხოვრობს, ასევე არიან ამერიკაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში.

საქართველოში დარჩენილია ებრაელთა ძალიან ცოტა რაოდენობა. ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით, 2-დან 3000-მდე ებრაელი. ამიტომ ჩვენი გაზეთის ამოცანაა, არ იყოს მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა გაზეთი, არამედ იყოს და ჩვენი აზრით, არის კიდეც, როგორც აქ, საქართველოში მცხოვრები, ასევე უცხოეთში წასული ქართველი ებრაელების საყვარელი ქართული გაზეთი.

— ვიცი, თქვენ სენაკელი ხართ.

— სამტრედიაში, სოფელ კულაშში დავიბადე. შემდეგ მამაჩემმა სამსახური სენაკში იშოვა და იქ გადავსულვართ საცხოვრებლად. მაშინ ექვსი თვის ვყოფილვარ. გავიზარდე სენაკში და ასე ვთქვათ, სამეგრელოს შვილი ვარ. ამიტომ ჩემთვის ოდიშური სამყარო ძალიან ახლობელი და ძვირფასია. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა გიამბოთ: 2003 წელს იერუსალიმში გაიმართა მსოფლიოს ქართველ ებრაელთა ყრილობა.

ყრილობის დამთავრების შემდეგ ისრაელის ტელევიზიაში მიგვიწვიეს. ჩვენთან ერთად იყო მსახიობი ვახტანგ ტატიშვილი. იგი ყრილობის მხატვრულ პროგრამაში მონაწილეობდა. ვისაუბრეთ ახლადშექმნილი კონგრესის შექმნის ამოცანებზე. საუბრის დასასრულს გადაცემის წამყვანი აცხადებს: სამი ქართველი რომ შეიკრიბიბება, ჩინებულად მღერიან. თქვენ კი ოთხნი ხართ, იქნებ, ჩვენი გადაცემა დიდებული ქართული სიმღერით დავამთავროთო. ერთმაც უარი თქვა სიმღერაზე და მეორემაც — ჩვენ კარგი მსმენელები ვართ, მომღერლები არაო. დავრჩი მე, ჩემზე უარესი მომღერალი კი ჯერაც არ დაბადებულა. არც სმენა მივარგა, არც სასიმღერო ხმა მაქვს, მაგრამ მომეჩვენა, რომ საქართველოს ღირსება ჩემს სიმღერაზე იყო დამოკიდებული და სიმღერა დავიწყე. დავიწყე სწორედ მეგრული სიმღერა:,, ასე ჩონგური ქოფთქუათი...“კარგად დავიწყე, ვახტანგ ტატიშვილიც წამომეშველა და ჩინებულადაც დავაგუგუნეთ.

ამით რა მინდა გითხრათ? იმ ექსტრემალურ სიტუაციაში სწორედ ის მომეძალა, წამომეშველა, რაც სისხლსა და ხორცშია გამჯდარი.

— ბატონო გურამ, ბევრი წავიდა, თქვენ რატომ არ დაბრუნდით ისტორიულ მიწაზე?

— (პაუზა). გამიჭირდა, ეს ნაბიჯი ვერ გადავდგი... მაგრამ... (პაუზა.) მე სხვადასხვა საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის წევრი გახლავართ. სულ ახლახან ამომეწურა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის კადენცია, გახლდით მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის გამგეობის წევრი იერუსალიმში, დღეს ვარ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის სტრატეგიული კომიტეტის წევრი, რომლის შტაბ-ბინა თელ-ავივშია განთავსებული, გახლავართ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. ისრაელში და სხვა ქვეყნებში ხშირად მიხდება ყოფნა, ვესწრები სხვადასხვა ღონისძიებებს. ვმონაწილეობ ყრილობების, კონფერენციების მუშაობაში. ისრაელში ყოფნისას რამდენიმეჯერ მიფიქრია: გურამ, აი, შენ შენი წინაპრების სამშობლოში ხარ და აქ იმყოფები არა ორი-სამი დღით, ან ერთი კვირით, არამედ, სამუდამოდ. მღელვარება მეუფლება... ძალიან მიყვარს იერუსალიმი. თბილისის გარდა თუ ოდესმე სადმე ვიცხოვრებ, ალბათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ, იერუსალიმი იქნება.

ჩემზე ხშირად უთქვამთ, რომ მე ვარ ქართველი ებრაელი მწერალი. რა თქმა უნდა, მე ვარ ქართველი ებრაელი, მაგრამ, მწერალი არის იმ საზოგადოების, რომელ ენაზეც წერს. მე ქართულად ვწერ, ამდენად, მე ებრაული წარმოშობის ქართველი მწერალი ვარ.

— ებრაულ თემატიკაზე წერთ?

— ჩემი ყველა რომანი საქართველოში ებრაელთა ყოფას ასახავს, დრამატურგიაში ასე არ არის. ორი-სამი პიესაა ებრაულ თემატიკაზე. ჩემი ძალიან დიდი ინტერესის საგანი საქართველოს ისტორია გახლავთ. საქართველოს ისტორიაში არის ძალიან ბევრი დრამატული და შეიძლება ითქვას, დრამატული ეპიზოდებიც.

მაგალითად, მე მაქვს ერთი პიესა, რომელიც ახლა წარმატებით იდგმება ბათუმის თეატრში. ეს არის პიესა „სამშობლო მცირეთა და მრავალთა“, რომელიც თამარ მეფის ეპოქას ეხება. კერძოდ, იმ ეპიზოდს, ზანქან ზორაბაბელმა გიორგი რუსი რომ ჩამოიყვანა საქართველოში. მართალია, პიესა თამარის ეპოქას ეხება, მაგრამ დაწერილია საქართველოს დღევანდელობაზე.

მიმაჩნია და ასეც არის — თამარ მეფე იყო მსოფლიოში პირველი მმართველი, რომელმაც პარლამენტის მსგავსი სათათბირო შექმნა. პიესაში ლაპარაკია თამარის დროინდელ სათათბიროზე და სინამდვილეში ვწერ თანამედროვე საქართველოს პარლამენტზე.

— თქვენ შესანიშნავ რომანებსაც ქმნით.

— (ეღიმება.) მაგ მოსაზრების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. კარგი იქნებოდა, თუ სხვებიც ამ მოსაზრებას გაიზიარებდნენ...

ახლახან გამოვიდა ჩემი ახალი რომანი,, ელიგულა და ხავა“, რომელიც წინა საუკუნის 10–20-იანი წლების მოვლენებზეა აგებული.

— როგორც მწერალი, როგორ შეაფასებთ, ზოგადად, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ფენომენს?

— ამბობენ, რომ ქართველთა და ებრაელთა კეთილი ურთიერთობა ქართველთა ტოლერანტობამ, ებრაელთა გამტანობამ და ერთგულებამ განაპირობაო. კი, ბატონო, არის ეს არგუმენტი, მაგრამ ჩვენ სათავე უნდა ვეძებოთ. საიდან, როგორ იწყება ეს ყველაფერი. ჩემი აზრით, ამ ურთიერთობების სიმყარეს სხვა, უფრო მეტად ისტორიული მიზეზები აქვს. გასული საუკუნის 80-იან წლებში მეც ისეთივე თანამშრომელი ვიყავი გაზეთისა, როგორიც თქვენ ხართ და როგორც,, ლიტერატურული საქართველოს“ ჟურნალისტმა ინტერვიუ ავიღე უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორისაგან, რომელიც ახალი დაბრუნებული გახლდათ ისრაელიდან. სამუდამოდ დამამახსოვრდა მისი პირველივე ფრაზა:,, ებრაელებმა საქართველოში მოიტანეს მონოთეიზმი!“

მონოთეიზმი, მოცემულ შემთხვევაში კი, ქრისტიანობა, უზარმაზარი ნახტომი გახლდათ პროგრესისაკენ.

მე ეს თეზა მაქვს რომანში,, ერთი, მხოლოდ ერთი“.

ებრაელებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების საქმეში. ეს დაახლოების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად მიმაჩნია.

გორის უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ელდარ მამისთვალაშვილს საინტერესო ნაშრომები აქვს ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე.,, ქართველ ებრაელთა ისტორიაც“ მისი დაწერილია. ამ წიგნში ერთ ასეთ ამბავს გადმოგვცემს: ერთი სურამელი ებრაელი ქალი ერეკლე მეორეს წერს: მშობლები გარდამეცვალნენ, ძმებმა ჩემი მშობლების ქონება გაიყვეს, მე არაფერი მერგო. შენ ხელმწიფე ხარ, დამეხმარე, რომ მეც შემხვდეს წილი მშობლების ქონებიდანო. როგორც ხედავთ, ერთი ჩვეულებრივი საჩივარია ოჯახურ თემაზე, მაგრამ უჩვეულო და უნიკალურიც კია მეფის მინაწერი, ასე ვთქვათ რეზოლუცია ამ საჩივარზე: „გამგებელსა სურამისასა. თუ მოსეს რჯულის მიხედვით ეკუთვნის, მიეცეს!“

ეს ხდება მე-18 ს-ის 60-იან წლებში და დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსი საქართველოს ტოლერანტობას ასწავლის.

— გაზეთები წერენ უკმაყოფილო ქართველების შესახებ, რომლებიც შეურაცხყოფილნი არიან ებრაელი მესაზღვრეების საქციელით. ეს ძაბავს ურთიერთობებს არა, ვთქვათ, სახელმწიფოებრივ დონეზე, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვან, ერთა შორის ურთიერთობების დონეზე და ეს, მგონი, გასათვალისწინებელია.

— ისრაელი არის სახელმწიფო, რომელსაც, ასე ვთქვათ, ბომბებზე სძინავს, ქალაქები, მოსახლეობა ყოველ წუთს ტერაქტების მოლოდინშია. ამიტომ მათ არ აქვთ უფლება ზედაპირულად მოექცნენ თავიანთ მოვალეობას, ამ შემთხვევაში, საზღვარზე გადმომსვლელს.

ისრაელში არ არის იოლი სამსახურის შოვნა. აი, ამ მესაზღვრემ დიდი ხნის ძებნის შემდეგ იშოვა სამსახური, რომელზეც მთელი მისი ოჯახის ცხოვრება და არსებობაა დამოკიდებული. მან გაიარა სათანადო ტრენინგები. თუ ის დაარღვევს შრომით შინაგანაწესს და ისე მოიქცევა, როგორც ამას ზოგიერთი გვიამბობს, აუცილებლად მოუწევს უმუშევართა არმიის შევსება, რაც მისი ოჯახის შიმშილს და მრავალ პრობლემას ნიშნავს.

ისეთ გარემოცვაშია ისრაელი, სხვანაირად მისი არსებობა შეუძლებელია. მებაჟე, მესაზღვრე და, საერთოდ, ვერავინ, თავს უფლებას ვერ მისცემს, გადააბიჯოს წესდებას და კანონს. ამას გარდა, ევროპაში საქართველოდან ჩასულთა კრიმინალის მომრავლება, ყველა მესაზღვრეს გაათკაცებულ სიფხიზლეს ავალდებულებს. ისრაელს თავისი კრიმინალებიც ჰყოფნის ისინი საკმაოზე ბევრია.

— ჩვენი, ქართულ-ებრაული პოზიტიური ურთიერთობები რომ შენარჩუნდეს, თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს?

— საშუალო და უფროსი ასაკის თაობა, რომელსაც ახსოვს, უყვარს საქართველო, ნელ-ნელა ტოვებს ცხოვრების ასპარეზს. მოდის ახალი თაობა, რომელსაც ბებია-ბაბუებისგან გაუგია საქართველოს შესახებ, ამიტომ არ იცის ისე ცხოვლად, როგორც უფროსებმა იცოდნენ. საჭიროა უფრო მეტი ინფორმაცია.

ისრაელში თითქმის ყველა იმ ქვეყნის შვილთა შეკრების ცენტრები არსებობს, სადაც ებრაელებს დევნილობის პერიოდებში უცხოვრიათ, თუმცა, არ არსებობს ქართული სახლი, ქართული ლიტერატურის ბიბლიოთეკა. ჯერ კიდევ ვერ მოება თავი ამას. დღეს ლიტერატურა არცთუ ისეთ პატივშია, როგორშიც უნდა იყოს, მაგრამ ქვეყნის და ხალხის იმიჯის შესაქმნელად იგი უზარმაზარ მისიას ასრულებს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მენორა
מנורה

რაკეტები, ტრამპს რომ ჭკვიანი ეჩვენებოდა, სულელები აღმოჩნდნენ

გვესაუბრება სახალხო მოძრაობა „სოციალისტური საქართველოს“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელია.

— ბატონო ვალერი, რატომ დაბომბეს სირია და, საერთოდ, საიდან იღებს ეს კონფლიქტი სათავეს?

— სირიის საკითხი ერთგვარი გასაღებია, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში გასარკვევად.

2007 წელს მიუნხენის კონფერენციაზე პუტინმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ მსოფლიოს ერთპოლუსიანმა მოდელმა ვერ გაამართლა და ეს ერა უნდა დასრულდეს, ანუ მსოფლიოზე ამერიკის ერთპიროვნულ ჰეგემონიას წერტილი უნდა დაესვას.

თამამი ნაბიჯი რუსეთმა ამ მიმართულებით 2015 წელს გადადგა, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო. ეს ტერორისტული სახელმწიფო ამერიკელების მიერ იყო შექმნილი და მასთან დაპირისპირება ამერიკასთან დაპირისპირებას ნიშნავდა.

ახლო აღმოსავლეთის ფაქტორი უმნიშვნელოვანესია მსოფლიო გეოპოლიტიკისთვის. ლიბიაში, ეგვიპტეში, ტუნისში, ერაყში ამიტომ განხორციელდა აშშ-ის აბსოლუტურად უკანონო სამხედრო ჩარევა, რითაც არაერთხელ დაადასტურეს, რომ მათთვის საერთაშორისო სამართალი არაფერს ნიშნავს. მათ არ ჰქონდათ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია იმ სამხედრო ოპერაციებზე, რომლებსაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა რეგიონსა და სახელმწიფოში ატარებდნენ.

სირიაში აშშ-მა ე.წ. ისლამური სახელმწიფო შექმნა, შეაიარაღა, დააფინანსა და სირიას მიუსია სახელმწიფო გადატრიალებისა და მისთვის მიუღებელი კანონიერი პრეზიდენტის ბაშარ ალ ასადის დამხობის მიზნით. აი, აქ მოხდა ის, რასაც ამერიკელები ნაკლებად მოელოდნენ, ან სულაც არ მოელოდნენ.

2015 წელს რუსეთმა ტერორისტული სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო. მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეს, ამერიკელებისგან განსხვავებით, კანონის სრული დაცვით გაკეთდა, Aანუ გაკეთდა მას შემდეგ, რაც სირიის კანონიერმა მთავრობამ რუსეთს სამხედრო დახმარების აღმოჩენის თხოვნით ოფიციალურად მიმართა. რუსეთის პრეზიდენტმა, თავის მხრივ, წინადადებით მიმართა ფედერაციის საბჭოს, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი დადგენილება მიიღო.

— ისინი აცხადებენ, რომ სირიაში ბაშარ ალ ასადის დიქტატურას ებრძვის დემოკრატიული ამერიკა და ევროპული სახელმწიფოების კოალიცია...

— ვინ დაადგინა, რომ ასადი დიქტატორია, რომელმა სასამართლომ თქვა ეს?! რადგან აშშ-ს მიაჩნია და ასე ფიქრობს, ე.ი. ეს სწორია?

მსოფლიოში საერთაშორისო საკითხების განსახილველად და გადაწყვეტილებათა მისაღებად არსებობს გაერო თავისი უშიშროების საბჭოთი. ამ ორგანიზაციის გვერდის ავლით საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტის მცდელობა არის საერთაშორისო უკანონობა და საერთაშორისო დანაშაული.

— რას მიაღწიეს ამერიკელებმა სირიაში განხორციელებული სამხედრო ოპერაციით?

— ამ ოპერაციას მათთვის არანაირი დადებითი შედეგი არ მოუტანია. უარყოფითი შედეგი კი რამდენიც გნებავთ:

ამერიკა, დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად, მსოფლიოში დაფიქსირდა, როგორც აგრესორი სახელმწიფო;

ამ ოპერაციამ ცხადჰყო აშშ-ის არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამხედრო უსუსურობაც. მათ მიერ სირიის სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების მიმართულებით გაშვებული 103 რაკეტიდან 71 სირიის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებმა გაანეიტრალეს. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ საბჭოთა კავშირში დამზადებული ანტისარაკეტო სისტემების დაძლევა ამერიკელთა თანამედროვე რაკეტებმა ვერ შეძლეს. გახსოვთ ტრამპი როგორ დაემუქრა რუსებს ოპერაციის დაწყებამდე? — სირიისკენ გამოფრინდებიან ახალი, ლამაზი და ჭკვიანი რაკეტებიო. რაკეტები, ტრამპს რომ ჭკვიანი ეჩვენებოდა სულელები აღმოჩნდნენ. ისინი თანამედროვე რუსულმა სისტემებმა კი არა, ძველმა საბჭოთა სისტემებმა მწიფე თუთასავით ჩამოყარეს ძირს.

ამ ყოვლად სამხედრო ოპერაციამ ნათელი გახადა, რომ აშშ მძიმე სისტემური კრიზისის ფაზაშია შესული და მისი კრახი გარდაუვალია.

— ეს ოპერაცია ამერიკელებისთის ვერანაირი დადებითი შედეგის მომტანი თუ ვერ იქნებოდა, მაშინ რა საჭირო იყო მისი ჩატარება საერთოდ, რა გათვლა ჰქონდა ტრამპს?

— ტრამპმა მოსვლის დღიდანვე გამოავლინა თავი, როგორც იმპულსურმა და გაუწონასწორებელმა პოლიტიკოსმა. ის მუდმივად მუსკულებზე იყურება, მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ შეაშინა. — **მაგრამ კვლავ დგას საკითხი — რა ეშველება სირიას? ჩრდილოეთ კორეისგან განსხვავებით, მას ბირთვული შეიარაღება არ გააჩნია...**

— ამ მიზნით შეიკრიბნენ რუსეთის, თურქეთის და ირანის პრეზიდენტები და ისახება გეგმები, რა უნდა გაკეთდეს. ეს იმის მომასწავებელია, რომ პლანეტა მესამე მსოფლიო ომს თუ ასცდა, მაშინ სრულიად ახალი გეოპოლიტიკური ვითარება და ახალი მსოფლიო წესრიგი ჩამოყალიბდება, სადაც ამერიკული ჰეგემონიისთვის ადგილი არ დარჩება.

— ალბათ, ამიტომაც იბრძვის აშშ ასე გამწარებით, ერთი კვირის წინ, დიდ ბრიტანეთთან ერთად, რუსი დიპლომატების დევნა რომ დაიწყო მთელ მსოფლიოში...

— დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ვითომ ცივილიზებულ, სინამდვილეში კი კანონიერების მიღმა მყოფ დასავლეთს მოუწოდა, რუსი დიპლომატები ქვეყნებიდან გავაძევოთო. თვითონ 23 რუსი დიპლომატი გამოუშვეს, ამერიკიდან დაითხოვეს 60 რუსი დიპლომატი და ა.შ. ამის პარალელურად მოხდა მართლაც ფანტასტიკური ამბავი — საქართველომ გააძევა შვეიცარიის საელჩოს რუსეთის სექციის თანამშრომელი. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გვაქვს და ვაძევებთ სხვა საელჩოს რუს თანამშრომელს. ეს საოცრება არ არის? აი, რას ნიშნავს მონური მორჩილება.

რუსეთის სახელმწიფო დუმაში უკვე განიხილეს იმ ქვეყნებისადმი პასუხები, რომლებმაც დიპლომატები გამოაძევეს და გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ალკოჰოლის და ა. შ. ექსპორტს რუსეთში ის ქვეყნები ვეღარ განახორციელებენ.

საქართველომ ძლივს მოახერხა რუსეთის ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ღვინის შეტანა და, როგორც ჩანს, ახლა ისიც აეკრძალება. უგუნურ გადაწყვეტილებებს სავალალო შედეგები მოაქვს.

— რა საფრთხეები ემუქრება საქართველოს, თუ მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება?

— რამდენიმე დღის წინ პუტინი ერდოღანს შეხვდა და ხელი მოაწერეს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის უზარმაზარ პროექტს. ამ ელექტროსადგურს რუსეთი ააშენებს ნატოს წევრ თურქეთში. 2 მილიარდის ღირებულების S-400 სარაკეტო-საზენიტო დანადგარები რუსეთმა თურქეთს უკვე მიჰყიდა, მეტიც, გაფორმდა ხელშეკრულება, რომ S-400 აწარმოონ თურქეთში, ანუ ყალიბდება გრძელვადიანი, პერსპექტიული ურთიერთობა. ეს ხომ სრულიად ცვლის ჩვენს ირგვლივ არსებულ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს. წარმოიდგინეთ საქართველოს მდგომარეობა. ირგვლივ რუსეთი, თურქეთი, ირანი, სომხეთი და აზერბაიჯანია.

ირანი რუსეთის მოკავშირეა, თურქეთიც რუსეთის მოკავშირედ ყალიბდება, სომხეთიც რუსეთის მოკავშირეა და აზერბაიჯანიც რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი სახელმწიფოა. ჩვენ სად მივდივართ, ჩვენს ირგვლივ არსებულ ყველა სახელმწიფოს ვუპირისპირდებით?

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რა გახდა ქართველი თავადის ასულისა და ალექსანდრე პირველის საყვარელი ქალის თვითმკვლელობის მიზეზი?

ტრაგიკული ბედის მქონე ქართველი თავადის ასულის სახელს არა ერთი ლეგენდა და ბურუსით მოცული ისტორია უკავშირდება, თუმცა მისი სიკვდილის ზუსტი მიზეზი დღემდე დაუდგენელია. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ივანე კრამსკოის ცნობილ სურათზე „უცნობი ქალი“ ქართველი თავადის ასული და რუსეთის იმპერატორის საყვარელი ქალია გამოსახული, რომელმაც ალექსანდრე პირველს შვილი გაუჩინა და ხანმოკლე ბედნიერებისთვის ძვირი საფასური გადაიხადა..

ბარბარე თურქესტანიშვილის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ის 1775 წელს დაიბადა თელავში, რუსეთის არმიის გენერლის ილია თურქესტანიშვილისა და მარია ერიოპკინას ოჯახში. გენერლის ათი შვილიდან მოზრდილობამდე მხოლოდ ბარბარემ და მისმა ორმა დამ მიაღწიეს. გოგონა 14 წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა, 20 წლისამ კი დედაც დაკარგა. ამის შემდეგ ბარბარე საცხოვრებლად სანკტ-პეტერბურგში, დედის ნათესავებთან გადავიდა. 1808 წელს 33 წლის ქართველი თავადის ასული იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნას ფრეილინა გახდა და ძალიან მალე მთელი საიმპერატორო კარი და თავად ალექსანდრე პირველი მოხიბლა.

მას საიმპერატორი კარის მშვენებას ეძახდნენ, თუმცა მხოლოდ სილამაზისთვის არ აფასებდნენ. „მარია ფიოდოროვნას მოგზაურობაში მიჰყვებიან: ნარიშკინი — გართობისთვის, ალბედილი — ფულისთვის, თურქესტანოვა-ჭკუისთვის“ — წერდა გრაფი გოლიცინი თავის მოგონებებში.

„ბიძაჩემის სახლში მოწყობილ საღამოებს ხშირად სტუმრობდა დები გოლიცინებისა და მარია ალექსეევნას მეგობარი, თავადის ასული თურქესტანოვა. ეს იყო ძალიან ჭკვიანი, ეშმაკი, მხიარული, მოხერხებული და სალონური საუბრების მცოდნე ქალბატონი. ჩემი პატივცემული ბიძა თავს ევლებოდა და სწორედ მისი თხოვნით, ვარია სასახლის მთავარი ფრეილინა გახდა“- ასე აღწერდა ბარბარე თურქესტანიშვილის პეტერბურგში ცხოვრებას გრაფი ტოლსტოი.

რა თქმა უნდა, ქალების მოყვარულ იმპერატორს ლამაზი ქართველი ქალი შეუმჩნეველი არ დარჩენია. სიმპათიები ორმხრივი აღმოჩნდა. ერთ-ერთ წერილში ვარიამ აღიარა: „ეს კაცი რომ ხელმწიფე არ ყოფილიყო, ვინატრებდი მასაც ძალიან მოვწონებოდი, რადგან თავდავიწყებამდე გამიტაცა...“

ალექსანდრე პირველი საიმპერატორო ტახტზე 23 წლის ასაკში ავიდა. ამ დროისთვის მან დაქორწინებაც მოასწრო და საკუთარ მეუღლეზე გულის აცრუებაც. იმპერატორის ცოლი ელიზავეტა ქერათმიანი ლამაზმანი გახლდათ, რომელსაც ფსიქეას ადარებდნენ, თუმცა ალექსანდრეს ცოლის მიმართ გრძნობები მალე გაუცივდა და სასახლის კარის ლამაზმანებთან ურთიერთობა არჩია. არისტოკრატი ქალი სოფია შუაზელ-გუფიე იხსენებდა, რომ ალექსანდრე ქალების

მოხიბვლის საოცარ ნიჭს ფლობდა. საიმპერატორო კარზე არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რომ იმპერატორს 15 წლის მანძილზე სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა მარია ნარიშკინასთან და მხოლოდ მას შემდეგ დაცილდა, რაც ქალის ღალატის შესახებ შეიტყო. 1813 წელს ნარიშკინამ რუსეთი დატოვა და სამოგზაუროდ ევროპაში გაემგზავრა. სწორედ ამ პერიოდში, ალექსანდრემ თვალი დედის ქართველი ფრეილინას დაადგა. ამბობენ, რომ ერთ-ერთ წვეულებაზე მან ქართველი თავადის ასულს კამეა აჩუქა, რომელსაც ბარბარეს პორტრეტი და წარწერა ამშვენებდა: „ის, ვინც მე ავირჩიე და ვინც მე ამირჩია“. თანამედროვეთა მოგონებებიდან ირკვევა, რომ შეყვარებულებს შორის იდილიური ურთიერთობა არ ყოფილა. ისინი ხშირად კამათობდნენ და ერთმანეთის გაგება უჭირდათ. თურქისტანიშვილი თავის დღიურში წერდა: „უკმაყოფილო და უფრო მეტიც, დამწუხრებული ვარ, მაგრამ სასახლიდან წასასვლელი არსად მაქვს. ბედი არ მწყალობს..“ყველაფრის მიუხედავად, ქართველი თავადის ასულს ალექსანდრე პირველი თავდავიწყებით უყვარდა და 44 წლის ასაკში ქალიშვილიც გაუჩინა, მაგრამ ამ დროისთვის, იმპერატორს უკვე სხვა ქალი უყვარდა და შვილი ერთხელაც არ უნახავს. ოფიციალურად, ბარბარეს გოგონა თავადი გოლიცინის შვილად ითვლებოდა, თუმცა იმპერატორის კარზე ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბავშვის მამა ალექსანდრე გახლდათ.

მეორე ვერსიის თანახმად, მოღალატე იმპერატორი კი არა, ბარბარე იყო, რადგან ალექსანდრესთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე, 24 წლის ვლადიმერ გოლიცინთან რომანი გააბა. გენერალი გოლიცინის უმცროსი შვილი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ნაპოლეონთან ომის აქტიური მონაწილე იყო და საიმპერატორო კარზე ავანტიურისტისა და მექალთანის რეპუტაციით სარგებლობდა. მოარული ჭორების თანახმად, გოლიცინმა ნიძლავი დადო, რომ თურქესტანიშვილს აცდუნებდა, თუმცა მერე შეუყვარდა. ზოგი საპირისპიროს ამტკიცებდა და ამბობდა, რომ გამოცდილმა ქალმა ადვილად მოახერხა ახალგაზრდა ვაჟის მოხიბვლა. ასეა თუ ისე, გოლიცინმა მტკიცედ გადაწყვიტა ბარბარეზე დაქორწინება და გადაწყვეტილებაზე უარი მხოლოდ მაშინ თქვა, როცა ღამით ქალის საძინებელში ალექსანდრე პირველი დაინახა.

საბოლოოდ, თურქესტანიშვილი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც მისი ორსულობა უფრო ამძიმებდა. ბარბარეს სახელთან დაკავშირებული ჭორების მიუხედავად, 1818 წელს დაქვრივებულმა იმპერატრიცამ საყვარელი ფრეილინა ევროპის გარშემო ხანგრძლივ მოგზაურობაში იახლა. ბარბარე თავის ორსულობას გულმოდგიმედ მალავდა, თუმცა თავს საშინლად გრძნობდა. ჩვენამდე მოაღწია ქალის დღიურმა, რომელსაც მოგზაურობის დროს აწარმოებდა.

„სისწრაფე, რომლითაც ვმოგზაურობთ, სასოწარკვეთილებაში მაგდებს. მე თითქმის არ მძინავს, ხოლო სოფია არაფერს ჭამს, რომ ავად არ გახდეს. იმპერატრიცასა და მოხუც გრაფინიასთან შედარებით, ნამდვილ ფეთხუმებს ვგავართ. მათ შეიძლება გმირებიც კი ვუწოდოთ, რადგან შეუძლიათ დედამიწის ერთი პოლუსიდან მეორემდე მცირე უსიამოვნების გარეშე იმოგზაურონ.“

31 აგვისტო. რიგა.

„გუშინ მომაკვდინებელი ვახშამი, დღეს ბალი.. მთელი სისწრაფით მივქრივართ და დანიშნულების ადგილზე ჩასულები დასვენების ნაცვლად, ბალზე წასასვლელად ვემზადებით. გარწმუნებთ, ამას ვერც ერთი ჯანმრთელობა ვერ გაუძლებს, თუმცა მისი აღმატებულება სირთულეებს შესანიშნავად ართმევს თავს და ახალგაზრდებზე უკეთ გამოიყურება “

19 სექტემბერი. ბრესლაუ

იმპერატრიცა ევროპაში მოგზაურობიდან პეტერბურგში წლის ბოლოს დაბრუნდა. 1819 წლის აპრილში კი ბარბარე თურქესტანიშვილმა გოგონა, სახელად მარია გააჩინა. იმპერატორის კარზე ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბავშვის მამა ალექსანდრე პირველი გახლდათ. დაუსრულებელი ჭორაობამ და მშობიარობის შემდგომმა დეპრესიამ ბარბარეს ჯანმრთელობა სერიოზულად შეარყია. მშობიარობიდან ორი თვის შემდეგ, სასოწარკვეთილმა ქალმა შხამი დალია და 1819 წლის 20 მაისს, 44 წლის ასაკში გარდაიცვალა. იმპერატრიცა პავლოვსკოედან პეტერბურგში საგანგებოდ ჩავიდა, რომ მომაკვდავი ფროილინას გვერდით უკანასკნელი საათები გაეტარებინა.

იმ დღეებში მთელი პეტერბურგი მხოლოდ ამ იდუმალებით მოცულ გარდაცვალებაზე საუბრობდა. თურქისტანიშვილის სიკვდილმა მთელი საიმპერატორო კარი და თავად იმპერატორიც დაამწუხრა. რუსი პოეტი და კრიტიკოსი პეტრე ვიაზემსკი წერდა: „გუშინ თავადის ასული თურქესტანოვა გარდაიცვალა. ის საოცრად კეთილი, თავაზიანი და უაღრესად ჭკვიანი ქალი იყო. არც თუ ისე დიდი ქონების პატრონი ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა და უამრავ ადამიანს სასიამოვნო მოგონება დაუტოვა“

ბარბარეს ეყო ძალა და ღირსება, რომ საიდუმლო სამარეში წაეღო, ამიტომ საიმპერატორო კარმა გარდაცვალების მიზეზად ქოლერა დაასახელა, თუმცა ამ ვერსიის არავის სჯეროდა. ზოგი ფიქრობდა, რომ ბარბარემ თავი უიღბლო სიყვარულის გამო მოიკლა, ზოგს მიაჩნდა, რომ იმპერატორის საყვარელმა ბავშვი სხვა მამაკაცისგან გააჩინა და ამას ემსხვერპლა, ზოგი კი დარწმუნებული იყო, რომ ქალმა ვერ გაუძლო სკანდალს, რომელიც გაუთხოვარი და არც თუ ისე ახალგაზრდა ფრეილინას მიერ ბავშვის გაჩენას მოჰყვა.

ბარბარე თურქესტანიშვილი ალექსანდრე ნეველის ტაძარში დაკრძალეს.

მისი შვილი ოფიციალურად გამოცხადდა გოლიცინის ასულად და „მამამ“ სახლში ზედმეტი კითხვების გარეშე წაიყვანა. დედის მსგავსად, მარია გოლიცინაც უიღბლო აღმოჩნდა და სრულიად ახალგაზრდა, 24 წლის ასაკში გარდაიცვალა.ამბობენ, რომ მისი შვილი გარეგნულად ძალიან ჰგავდა იმპერატორ ბაბუას.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ცნობილმა მხატვარმა ივან კრამსკოიმ ერთ-ერთ წვეულებაზე ბარბარე თურქესტანიშვილის პორტრეტით დამშვენებული კამეა იხილა. მხატვარი იმდენად მოხიბლა ქალის მშვენიერებამ და იმდენად შეძრა მისმა ტრაგიკულმა ბედმა, რომ პორტრეტის დახატვა გადაწყვიტა. კრამსკოიმ „უცნობი ქალისთვის“ ნატურად ახალგაზრდა ქალი შეარჩია, რომელიც თურქესტანიშვილს ძალიან ჰგავდა. უცნობი ქალის ვინაობა ძალიან დიდხანს საიდუმლოდ რჩებოდა, რადგან მხატვარს არც პირად წერილებში, არც მოგონებებში არ უთქვამს ვინ იყო მისი მუზა, თუმცა ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები დარწმუნებული არიან, რომ ნახატზე ქართველი თავადის ასული და რუსეთის იმპერატორის საყვარელი ქალია გამოსახული..

სალომე სახოკია

სოდომის მაფია

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N14)

საკმაოდ მძაფრად მიმდინარეობდა ამ საკითხის განხილვა ბრიტანეთის პარლამენტშიც. როგორც ევროპარლამენტის დეპუტატი დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიიდან ნაიჯელ ფარაჯი უთითებდა, სინამდვილეში ყველაფერს წყვეტდა არა ინგლისის პარლამენტი, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო. პრემიერ-მინისტრმა კამერონმა, მისი პარტიისა და ერის საწინააღმდეგოდ, ეს კანონპროექტი პარლამენტს თავს მოახვია უშუალოდ სტრასბურგის მითითებით.

2008 წელს გაეროს ისტორიაში პირველად საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და სხვა მთელი რიგი სახელმწიფოების ინიციატივით გენერალური ასამბლეის 63-ე სესიაზე მიღებულ იქნა დეკ-



ლარაცია ადამიანის უფლებებთან და სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ იდენტურობასთან დაკავშირებით, (“ანტი-ადამიანის უფლებები” “ადამიანის უფლებების” ნაცვლად.) (რომელსაც მხარი დაუჭირა სახელმწიფოთა მესამედმა: დღეისთვის მას ხელი მოაწერა უკვე 68 სახელმწიფომ (ალბანეთი, გერმანია, ანდორა, არგენტინა, სომხეთი, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ბოლივია, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბრაზილია, ბულგარეთი, კანადა, მწვანე კონცხი, ჩილი, კოლუმბია, კოსტა-რიკა (შეუერთდა 2010 წლის მარტში), ხორვატია, კუბა, დანია, ეკვადორი, აშშ (შეუერთდა 2009 წ.), ესპანეთი, ესტონეთი, მაკედონია, ფინეთი, საფრანგეთი, გაბონი, საქართველო, საბერძნეთი, გვინეა-ბისაუ, უნგრეთი, ირლანდია, ისლანდია, ისრაელი, იტალია, იაპონია, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მავრიკია, მექსიკა, ჩერნოგორია, ნეპალი, ნიკარაგუა, ნორვეგია, ახალი ზელანდია, პარაგვაი, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, ცენტრალური აფრიკის რესპუბლია, რუმინეთი, დიდი ბრიტანეთი, სან-მარტინი, სან ტომედა-პრინსიპე, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, შვედეთი, შვეიცარია, ტიმორ-ლესტე, ურუგვაი და ვენესუელა). ამან შედეგად გამოიწვია სოდომიტების უფლებების საყოველთაო გამყარება, რომელმაც თავი იჩინა ახლადმიღებულ კანონებში, რომლებიც ითვალისწინებენ დასჯას ჰომოფობიის საფუძველზე, ცნობენ ერთსქესოვან ქორწინებას და ამარტივებენ ტრანსგენდერთათვის ოფიციალური დოკუმენტების გაცემას, სადაც მითითებულია სასურველი სქესი. პოლიციის თანამშრომელთათვის, ციხეებისა და სოციალური მუშაკებისთვის, ასევე სხვა პერსონალისთვის შემუშავდა შესაბამისი პროგრამები. მრავალ სკოლაში რეალიზებულ იქნა ინიციატივები, რომლებიც მიმართულია დაშინების პრაქტიკის აღმოფხვრისკენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ღონისძიებათა შორის, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უმაღლესმა კომისარიატმა დაგეგმა ჰომოსექსუალიზმის საყოველთაო დეკრიმინალიზაციის მისაღწევად, სხვა დანარჩენთან ერთად გათვალისწინებულია მთავრობებთან დიალოგის გზით რეკომენდაციების შემუშავება რეფორმის ჩასატარებლად, მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ პროპაგანდაში, სტატიები პრესაში და ვიდეო-მიმართვები, თანამშრომლობა გაეროს პარტნიორებთან შესაბამისი საგანმანათლებლო ინიციატივების რეალიზაციისთვის, მხარდაჭერის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის ფაქტების დადგენასა და მთავრობებთან კონფიდენციალური კავშირების დამყარებაში. როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარიატის გეგმები საკმაოდ მასშტაბურია, ხოლო მათი კოორდინირება ხდება შტაბბინიდან, რომელიც მდებარეობს ნიუ-იორკში. ამავდროულად ფართოვდება ფინანსური ბაზა გარყვნილთა საერთაშორისო “დახმარებისთვის”. ჯერ კიდევ 2009- წელს საფრანგეთმა, ნიდერლანდებმა და ნორვეგიამ შექმნეს ისტორიაში პირველი, ფონდი რომელიც ეხმარება სექსუალურ უმცირესობებს. ფონდი, რომლის სახელწოდებაა “ადამიანის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის უფლებები” დაფუძნდა ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან საბრძოლველად და იმართება დონორი-სახელმწიფოების დახმარებით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების შემწეობით, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ადამიანის უფლებათა დაცვაზე. ფონდის საქმიანობაში შედის სოდომიტების მხარდამჭერი აქციების დაფინანსება. ამასთან საინტერესოა, რომ ფონდის ადმინისტრაციულ და ფინანსურ მართვას ახორციელებდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ფონდის საქმიანობაში შედის სოდომიტების მხარდამჭერი აქციების დაფინანსება. 2010 წლის ივლისში შეიქმნა პირველი სამმართველო კომიტეტი, რომელიც შედგებოდა ფონდის სპონსორებისგან (ნორვეგიისა და ნიდერლანდების საელჩოები, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო). 2011 წლის თებერვალში კომიტეტმა შეიმუშავა სამი საცდელი პროექტი, რომელიც რეალიზებული იქნა ორი წლის განმავლობაში. პირველი მიმართული იყო მედია-კამპანიების დახმარებით ტოლერანტობის მისაღწევად ყველა დონეზე, ასევე ზეგავლენის მოხდენად კანონმდებლებზე (ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამოვლენის მხრივ) და ჰომოსექსუალისტთა უშუალო დაცვისკენ. მეორე პროექტის მიზანი იყო უშუალო მუშაობა მოსახლეობასთან, რათა განეწყოთ იგი ლგბტ-თანამეგობრობის სასარგებლოდ, პროპაგანდისტულ ღონისძიებებში იგულისხმებოდა დოკუმენტალური ფილმების დემონსტრაცია, შესაბამისი შინაარსის კინო-ფესტივალები და დემონსტრაციები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უნივერსიტეტებს. მესამე პროექტი ეძღვნება ჰომოსექსუალისტთა ასოციაციების იურიდიულ აღიარებას, რომლებიც იბრძვიან დისკრიმინალიზაციის წინააღმდეგ ფონდს აქტიურად აფინანსებენ დონორი ორგანიზაციები, პროფკავშირები, უნივერსიტეტები, მასმედია და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები. 2013 წლის დასაწყისში (თებერვალ-მარტი) სამი კონტინენტის სახელმწიფოთა ძალისხმევით, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სტრატეგიის შესამუშავებლად, ბრაზილიაში (ამერიკა), კატმანდუსა (აზია) და პარიზში (ევროპა) ჩატარდა კონფერენცია ადამიანის უფლებათა და სექსუალურ-გენდერული იდენტურეობის დაცვის ეგიდით

ხოლო 15–16 აპრილს ოსლოს საერთაშორისო კონფერენციაში, რომელზეც შეიკრიბა მსოფლიოს 86 ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი, წარმოდგენილ იქნა ჩატარებული მუშაობის შედეგები და განხილულ იქნა მომდევნო ნაბიჯები ლგბტ-თანამეგობრობის გასაძლიერებლად სამწუხაროდ, სოდომური მაფია გადაიქცა მძლავრ იდეურ-პოლიტიკურ ძალად, რომელიც სულ უფრო და უფრო აგრესიულ ფორმებს ღებულობს, ამყარებს თავის კონტროლს კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების საკვანძო სფეროებზე. მისი წინსვლა მსოფლიო პოლიტიკის მწვერვალებისკენ მიმდინარეობდა უხილავად, დიდი ხნის განმავლობაში არ აღიქმებოდა სერიოზულ ძალად და განიხილებოდა როგორც ერთ-ერთი უმცირესობა. შედეგად, როდესაც დაგროვდა პოტენციალი და შეიქმნა მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და მოძრაობათა ქსელი, ლგბტ-მოძრაობა გამოვიდა მსოფლიო არენაზე და აღმოჩნდა, რომ ძალაუფლებრივ სტრუქტურებში “სექსუალური უმცირესობა” უკვე დიდი ხანია გადაქცეულია “სექსუალურ უმრავლესობად”, რომელიც მთელი სისატიკით კარნახობს თავის კანონებსა და ნორმებს. იბრძვის რა დისკრიმინაციისა და ჰომოფობიის სახელით (რომელიც შეიძლება საკმაოდ ფართოდ და თავისუფლად იქნეს განმარტებული), გარყვნილთა ძალა აქტიურად ამტკიცებს თავის განსაკუთრებულ უფლებებს და თანდათანობით იქცევა ხელშეუხებელთა კასტად. რეალურად, აძლევს რა საკუთარ უფლებებს საკრალურ ხასიათს, სოდომურ მაფიაში იწყება რელიგიური თანამეგობრობის სახის გამოკვეთა. წინ წაწიეს რა “ქუჩის ჰომოსექსუალიზმი” და ამოეფარნენ რა სამეცნიერო-გენდერულ რიტორიკას, მისი ოკულტური, ნიუ-ეიჯისეული ბირთვი ჯერაც მიმალულია, მაგრამ აშკარად მიჰყვება თავის მიზანს. მოქმედებს რა სატანური ლოგიკით, ის მუდმივად ახორციელებს ცნებების აღრევას, რათა თავის ქსელში შემოიტყუოს რაც შეიძლება მეტი ადამიანის, რომლებიც, უკვე გატოლერანტებულნი, სიმართლისა და სიცრუის გამრჩევნი ველარ იქნებიან. მაგრამ, რამდენად უფრო ტოლერანტულია საზოგადოება, იმდენად ნაკლებად შემწყნარებელნი არიან მისდამი სოდომიტები.

ისინი მაქციებივით მოქმედებენ, ერთნი იყენებენ საზოგადოების სოციალურ ორგანიზაციებს და კანონებს, რათა შიგნიდან გახრწნან ისინი და მათ ნანგრევებზე ააშენონ თავიანთი სოდომური ერთობა, რომელიც არის კიდევაც სატანის ანტიეკლესია. ისინი ამოფარებულნი არიან “ადამიანის უფლებებს”, და მისი დახმარებით ახდენენ ადამიანურობის ლიკვიდაციას, რომლის ნაცვლად ამყარებენ უსქესო არსებას – ანტი-ადამიანს.

ისინი სისხლს წოვენ ამ სისტემას მანამ, სანამ ეს სჭირდებათ. მაგრამ, როგორც კი ეს “თანამეგობრობა” მიაღწევს თავის კრიტიკულ მასას და დაამყარებს მსოფლიო დემოკრატიას, მათი რევოლუციაც დასრულდება, მათი სოდომი გახდება ერთადერთი ნორმა, ყველა დანარჩენი კი პათოლოგიად გამოცხადდება.

ნორმა იქნება ყოველგვარი ვნება და გარყვნილება, დამტკიცდება საყოველთაო სექსუალური ანარქია, როდესაც ქორწინების დაკანონებას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, რამეთუ მას თანაცხოვრების ყველაზე ანტიბუნებრივი ფორმებით შეცვლიან. ის, რაც დღეს ნორვეგიაში ხდება — ამ საძაგელი ტილოს მხოლოდ ესკიზებია, რომელსაც მსოფლიო ანტიეკლესიის მესვეურები ხატავენ, მათი ხელით მოქმედებს თვით სატანა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

როდის შეიძლება წამალი საწამლავად იქცეს?

ვაგრძელებთ საუბარს პროფესორ რამაზ გახოკიძესთან. ამჯერად, ბატონი რამაზი „საერთო გაზეთის“ მკითხველს წამლის მიღების წესზე ესაუბრება:

„სოდის მიღების უამრავი წესი არსებობს, მაგალითად, ილიკო ჩიგოგიძე ენაზე იყრის და პირდაპირ ისე ყლაპავს, ილარიონ შევარდნაძე კი ერთ სუფრის კოვზ სოდას ერთ ჭიქა თბილ წყალში ურევს და სულმოუთქმელად სვამს პახმელიაზე, ბებიაჩემი კი...“ ხუმრობა იქით იყოს და მართალია „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მთავარი პერსონაჟი ზურიკელა – წამლის მიღების სხვადასხვა ხერხი არსებობს, რაზეც მკურნალობის ეფექტია დამოკიდებული. ბევრი, ალბათ, ფიქრობს, მთავარია აბი მივიღო, ხოლო მას რას დავაყოლებ, მნიშვნელობა არ აქვსო. სინამდვილეში ასე როდია. საქმე ის გახლავთ, რომ სითხე, რომელსაც წამალს აყოლებთ, პირდაპირ არის დამოკიდებული თავად მედიკამენტის თვისებებზე. სწორედ წამლის თვისება განსაზღვრავს, თუ რა უნდა დავაყოლოთ მას უკეთესი სამკურნალო ეფექტის მისაღებად.

რატომ არ შეიძლება წამალზე ჩაის დაყოლება და რომელი პრეპარატები უნდა დალიოთ რძესთან ერთად?

– თავისთავად ცხადი და დაუშვებელია სამკურნალო პრეპარატების მიღება სპირტიან სასმელებთან ერთად, რაც ტრაგიკულ შედეგებს იწვევს. მაგალითად, ალკოჰოლის მიღება ინსულინთან ერთად ჰიპოგლიკემიურ კომას იწვევს, არტერიული წნევის დამწევ მედიკამენტებთან ერთად კი – სისხლძარღვთა კოლაფსს (გონების დაკარგვას), პარაცეტამოლთან ერთად – ღვიძლის დაზიანებას, ხოლო ასპირინთან ერთად – გასტრიტს, კუჭის წყლულოვან დაავადებას.

ზოგიერთი წამალი წყლის ნაცვლად სხვა სითხესთან ერთად უნდა მივიღოთ. მაგალითად, ინდომეტაცინზე ან რეზერპინზე, ქიმიური თავისებურებების გამო, რეკომენდებულია რძის დაყოლება. იგივე ეხებათ იოდის პრეპარატებსაც. ასპირინზე რეკომენდებულია ბორჯომისა და სხვა ტუტემინერალური სასმელების დაყოლება. რძის დაყოლება არ შეიძლება ტეტრაციკლინზე, რადგან ამ დროს პრეპარატის აქტიურობა სუსტდება. ხილის წვენები, განსაკუთრებით, მჟავე, ეფექტს უკარგავს ანტაციდურ (კუჭის წვენის მჟავიანობის შემამცირებელ) პრეპარატებს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წვენის ან კომპოტის დაყოლება საგულე გლიკოზიდებზე (დიგოქსინი და სხვა) და სულფანილამიდებზე (სტრეპტოციდი, სულფალენი და ა.შ.), რომლებიც თავიანთი ქიმიური ბუნებით ტუტეებს წარმოადგენენ. ასევე, არ შეიძლება რძის, ყავის, კოკა-კოლას, ბროწეულის წვენის დაყოლება პენიცილინისა და ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებზე და რკინის შემცველ პრეპარატებზე. ციტრამონისა და ასპირინის ყავით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლისა და სხვა ორგანოების გაუარესება. ნუ დააყოლებთ აბებს ჩაის. მასში შემავალი ტანინი წარმოქმნის უხსნად ნივთიერებებს და იწვევს მრავალი წამლის უკან გამოლექვას. აბების დასაყოლებლად ერთადერთ უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს წყალი ოთახის ტემპერატურის და არა ყინულიანი. ჩვეულებრივ საკმარისია მეოთხედი ჭიქა, განსაკუთრებულ შემთხვევებში (სალიცილატები) კი უფრო დიდი რაოდენობით.

როდის მივიღოთ წამალი – ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ?

– წამლის მოქმედება, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხვდება იგი ორგანიზმში. წამლები ცარიელ კუჭზე ძალიან ძლიერად მოქმედებს. ჭამის შემდეგ წამლის მიღება ორგანიზმისთვის ნაკლებად საზიანოა, თუმცა, ეფექტი ბევრად ნაკლებია. სპეციალისტები თვლიან, რომ ჭამამდე ის წამლები უნდა მივიღოთ, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებისთვის, მაგალითად, ანტიბიოტიკები, ონკოლოგიაში გამოყენებული პრეპარატები. ტკივილგამაყუჩებელი წამლების მიღება ჭამის შემდეგ სჯობს, რადგან ისინი ძლიერად მოქმედებენ კუჭის ლორწოვან გარსზე. ცხიმში ხსნადი ვიტამინების (A, D, E, F, K) მიღება აუცილებელია ჭამის შემდეგ ცხოველური და მცენარეული ცხიმებით მდიდარ საკვებთან ერთად, რომლებიც მათ შეწოვას აჩქარებს, ხოლო წყალში ხსნადისა (ჩ და B ჯგუფის) – ჭამამდე ან ჭამის დროს. კომპლექსური პოლივიტამინური პრეპარატების მიღება სასურველია ჭამისთანავე. ასპირინი აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, ამიტომ იგი უნდა მიიღოთ ჭამის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება ისეთი დაავადებების რისკი, როგორიცაა გასტრიტი, კუჭის წყლული და ა.შ. ასპირინის მიღებამდე ერთი საათის განმავლობაში არ უნდა ჭამოთ ცხარე საკვები და ციტრუსები. ასპირინზე არ შეიძლება ფორთოხლის ან სხვა მჟავე წვენების დაყოლება. წამლის უმრავლესობას იღებენ ჭამამდე 30–40 წუთით ადრე (ამ დროს მათი შეწოვა კარგად ხდება), ზოგჯერ 15 წუთით ადრე. მაგალითად, ჭამამდე იღებენ კორდარონს, პულსნორმს, ობზიდანს, ტრაზიკორს, პანანგინს, იზოპტინს. ჭამის დროს იღებენ პეფსინს, ფესტალს, დიგესტალს, პანზინორმს და სხვა მსგავს პრეპარატებს, რომლებიც საჭმლის მონელებას ხელს უწყობს.

საკვებთან ერთად სასურველია სენის, ხეჭრელის ქერქის, რევანდის ფესვების, ხეშავის ნაყოფის მიღება. ჭამის დროს უნდა მიიღოთ ქინიდინი (ანტიარითმიული და მალარიის საწინააღმდეგო საშუალება), ეუფილინი (ასთმის საწინააღმდეგო საშუალება), ლევომიცეტინი (ფართო სპექტრის მოქმედების ანტიბიოტიკი). კვების დროს კუჭის წვენის მჟავიანობა ძალიან მაღალია, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს წამლების მდგრადობაზე და სისხლში მათ შეწოვაზე. მჟავა გარემოში ქვეითდება ერითრომიცინის, ლინკომიცინისა და სხვა ანტიბიოტიკების მოქმედება.

თუ წამალი ჭამის შემდეგ დაგინიშნეს, საუკეთესო თერაპიული ეფექტის მისაღებად დაიცადეთ არანაკლებ ორი საათი. ჭამისთანავე, ძირითადად, ისეთ პრეპარატებს იღებენ, რომლებიც აღიზიანებს კუჭის და ნაწლავების ლორწოვან გარსს, მაგალითად, დიაკარბი, ჰიპოტიაზიდი, ფუროსემიდი, ასპირინი, ბუტადიონი, ვოლტარენი, იბუპროფენი, ასკოფენი, ციტრამონი, დიგოქსინი, დიგიტოქსინი, სტრეპტოციდი, სულფადიმეტოქსინი, ნორსულფაზოლი, ფტალაზოლი, ალოხოლი.

რა საკვები მივიღოთ წამლის ეფექტურობის გასაზრდელად?

წამლის ეფექტიანობა ასევე დამოკიდებულია საკვების შედგენილობაზე. მაგალითად, ზოგიერთი წამალი ადვილად შეიწოვება და კარგად მუშაობს ცხიმიან საკვებთან ერთად, სხვა – პირიქით. მკურნალობის ეფექტზე შეიძლება გავლენა მოახდინოს წყლის ტემპერატურამაც. არსებობს ერთი სირთულეც. სხვადასხვა ფარმაცევტული ფირმა ერთსა და იმავე წამალს განსხვავებულად აწარმოებს. აბის გარსის შედგენილობის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს მისი მოქმედება. წამლის არასწორად გამოყენების შედეგად მარტო აშშ-ში ყოველწლიურად 30 ათასზე მეტი ადამიანი იღუპება.

დროის რა მონაკვეთში უნდა მივიღოთ წამალი ამა თუ იმ ორგანოს სამკურნალოდ?

მკურნალობის ეფექტი ბევრად არის დამოკიდებული წამლის მიღების დროზე. მაგალითად პარაცეტამოლის მიღება სასურველია ჭამამდე 30 წუთით ადრე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მკვეთრად მცირდება საკვები ნივთიერებების სისხლში შეწოვა. ექიმები გვირჩევენ, რომ წამლები ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მივიღოთ, რადგან დღის განმავლობაში იცვლება სამკურნალო პრეპარატთა შეთვისება. ალერგოლოგების აზრით, ასთმური შეტევა, ჩვეულებრივ, საღამოს ხდება, ამიტომ წამლის მიღება სასურველია 15 საათზე. სისხლის წნევა, ჩვეულებრივ, მაღლა იწევს დილით და მთელი დღის განმავლობაში შენარჩუნებულია. ამიტომ ჰიპერტონიის სამკურნალო წამლის მიღება სასურველია ძილის წინ. ართრიტისა და ართროზის დროს ტკივილგამაყუჩებელ საშუალებათა მიღება განსაკუთრებით ეფექტურია დღის 2 საათზე, თანაც კუჭზე ნაკლებად მოქმედებს. გრიპისა და გაცივების დროს ანთების საწინააღმდეგო აბები და მიქსტურები კარგად მუშაობს და თანაეფექტებსაც არ იძლევა, თუ ღამით მიიღებთ.

წამლებით მკურნალობისას ადამიანზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს ბიორითმების გავლენა. ორგანიზმის თითოეული უჯრედი გრძნობს დროს – დღე-ღამის მონაცვლეობას, წელიწადის დროების ცვლილებას. ადამიანის ორგანიზმის 300-ზე მეტ ფიზიოლოგიურ ფუნქციაზე, როგორებიცაა არტერიული წნევა, პულსის სიხშირე, სხეულის ტემპერატურა, სისხლში ჰორმონების კონცენტრაცია, ღვიძლის და თირკმლების მუშაობის აქტიურობა და სხვა, ზემოქმედებს დღე-ღამური და სეზონური რხევები. მედიცინის სპეციალური დარგი – ქრონოფარმაკოლოგია სწავლობს ბიოლოგიური რითმების გავლენას წამალთა შეთვისებაზე. წამლის მოქმედება ამა თუ იმ ორგანოზე დღის გარკვეულ საათებში განსხვავებულია. წამალში მრავალი საიდუმლოა ჩადებული და იგი გარკვეული წესით უნდა მივიღოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი გაზეთის ჟურნალისტის თამარ შველიძის მამის

ანზორ შველიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობას უცხადებს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

გური ოტობაია – „სიცოცხლემისჯილი“

რომანი, რომელიც 40 წელიწადი იწერებოდა

„სიცოცხლემისჯილის“ ფრაგმენტები 1984 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე. ამის თაობაზე, აი, რას წერდა კრიტიკოსი გიორგი გაჩეჩილაძე: – **„აშკარა საინტერესო დებიუტად უნდა იქნას მიჩნეული, გ. ფეტელავას (გური ოტობაია) „ხასიათები რომანიდან“, როგორც პროზაიკოსი, გ. ფეტელავა, ხასიათდება ენობრივი ცნობიერების ღრმა კავშირით ხალხურ მეტყველებასთან, ხოლო ყოფითი გარემოს გრძნობით კოლხურ სამყაროსთან“.**

კრიტიკოსმა გურამ ბენაშვილმა შემდეგნაირად შეაფასა იმავე „ცისკარში“ 1987 წელს დასტამბული „სიცოცხლემისჯილის“ საჟურნალო ვარიანტი: – **„მე არაფერს ვიტყვი გური ფეტელავას რომანზე, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა და, საოცრად ქაოტური სიუჟეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძნელია მისი დასასრულის წინასწარმეტყველება. ათაშანგით დასნეულებული რომანის გმირი – მეცნიერი და ალქიმიკოსი, ერთსა და იმავე დროს, სამეგრელოს ერთ უდაბურ კუნძულზე განმარტოებულა და შორიდან ჭვრეტს თავის ყოფილ საცხოვრისს. მის მისტიკურ ყოფას სოფლელთა თვალში რაღაც მაცდუნებელი ძალა შეუძენია და აი, დაძრულან კიდევაც მისკენ, ამ შემზარავი ანახორეტისკენ სოფლის მოძულე თუ სოფლისგან მოძულებული ადამიანები. მათ შორის არიან ქალები, რომელთა გაუნელებელ ოცნებად ქცეულა იდუმალი განდეგილისგან დაორსულება. ასე და ამგვარად წარმოუდგება მკითხველს რომანს სიუჟეტური აქცენტები. სად და როდის ჰპოვებს გამოტანჯული თხრობა საბოლოო წერტილის დასმით გამოწვეულ შვებას, ძნელი სათქმელია“.**

კრიტიკოსი რევაზ თვარაძე: – **„როგორც ჩანს, ერთობ დიდი იყო სურვილი – თავისი ნაფიქრი, ნაგრძნობი და გამოტანჯული დაუხანებლად გაეცნო სხვათათვის, აუდიტორიისთვის, დაუხანებლად მოემკო მოსამკელი, დაუხანებლად მოეხვეჭა ის სახელი, რომელსაც უეჭველად მოუტანს ავტორს ეს ნაწარმოები. უეჭველად მოუტანს, ღრმად ვარ დარწმუნებული, ოღონდ საბოლოო დახვეწისა და ჩამოქნის შემდეგ\. ... თუკი ავტორი შესძლებს დასძლიოს იაფფასიანი პოპულარობის ცდუნება და ერთხელ კიდევ ჩაუჯდება თავის ქმნილებას, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქართველი მკითხველი დიდად მნიშვნელოვან, პირველხარისხოვან რომანს მიიღებს“.**

ვახტანგ ხარჩილავა (პოეტი): **მაინც რას ასახავს „სიცოცხლემისჯილი?!“**

ეს არის რომანი – ეპოპეა თანამედროვე წმინდანზე, რომელიც მოამწიფა არა სოციალურმა გარემომ, არამედ უზნეო მამის კერძო ინტერესებმა, რათა საკუთარი სიყრმისდროინდელი ცოდვები შვილის მართვილობით შეიმსუბუქოს და ჩადენილი დანაშაული პირმშოს მოწამეობით მოინანიოს. შესძლებს თუ ვერა ბონდო ჰალიძონიას მეშვეობით ჟინი ანთარი გათელილი სახელის აღდგენას, გავერანებული მეობის გადარჩენას? – აი, კითხვები, რომელსაც აღძრავს თხზულების პირველი წიგნი“.

– ეს მომცრო რეცენზიები 28 წლის წინათ არის დაწერილი. ამ ხნის განმავლობაში 28 ნობელიანტი შეემატა მსოფლიოს. ბატონო გური, ჩემს გაოცებას იწვევს თქვენი სიჯიუტე, ნებისყოფა, ერთ ნაწარმოებს ამდენი ხანი რომ დასტრიალებდით თავზე. ვგონებ, ნაწარმოებზე მუშაობის ყველა რეკორდი მოხსენით – 40 წელიწადი ლამის ნახევარი საუკუნეა, მთელი ცხოვრება.

– გოეთე სიკვდილის ბოლო წუთამდე წერდა „ფაუსტს“. მე ლიტერატურული თეორიაში ჩახედული მგონია ჩემი თავი და მიყვარს მეტრი ესთეტიკოსების ყურისგდება. ჰორაციუსი ამბობს: ნაწარმოები ხარის ტყავში გაახვიე და უჯრაში ჩააგდე, ათ წელიწადს ნუ მოიძიებო. მე ოთხგზის გავზარდე დიდი ლათინისაგან თხზულებასთან დისტანციურობის მოთხოვნა. სრული ორმოცი წელიწადი დამჭირდა უკიდურესობამდე რომ ამომეწურა ჩემი სათქმელი ამ მიმართებით.

– და მაინც, ორმოცი წელიწადი ძალიან დიდი დროა ერთი წიგნისთვის.

– რატომ ერთისთვის? მე ეს



პერიოდი ინტენსიურად ვმუშაობდი ერთდროულად ორ რომანზე – „როკი“ (1998) და „უფალი და მაფალუ“. მათ, სამივეს, ერთი რეალური სივრცე აერთიანებთ ფრაზეოლოგიით – „ენგურის ხეობის საგა“. ეს იგივეა ჩემთვის, რაც მაკონდო მარკესისთვის და იოკნაპატოფა – ფოლკნერისათვის. ჰიდრონიმი ენგური – იგივე ენ-ქურ-ია, სიტყვის მფარველი ცაბაოთი, სამლოცველო – ზიქურათი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „სიცოცხლემისჯილზე“ მუშაობის პროცესში უამრავი საბუნებისმეტყველო დარგების შესწავლა მომიხდა ამ სიტყვის სრული დატვირთვით – ბიოლოგიის, ასტრონომიის, ფიზიკის, ქიმიის, ეზოთერიის და ა. შ. მაგრამ მხოლოდ შესწავლა რა ბედენაა, საჭირო იყო ამ ყველაფრისთვის მხატვრული სამოსელის მორგება, ისე, რომ მკითხველი არ გადამეღალა, მკითხველი არ გამსხლტომოდა ხელიდან. ეს ურთულესი მისია აფთიაქარის სიზუსტეებს მოითხოვდა თემების დალაგება-შერჩევისას.

– და მაინც, რას შეეხება „სიცოცხლემისჯილი“, რა არის მისი პრობლემები – ეთიკური, ესთეტიკური?

– რომანს სამი ცენტრალური ფიგურა ჰყავს – ჟინი ანთარი, ბონდო ჰალიძონია და ჭიჭე კვეკვე. ჟინი ანთარი უცხოეთში განსწავლული პიროვნებაა, რომელიც ათაშანგით სნეული უბრუნდება სამშობლოს, საცოლე მაფა ჰალიძონიას. ჟინი ანთარმა ჩინებულად უწყის, რომ მისი შეყვარებული, თანაცხოვრების შემთხვევაში, სამარცხვინო სიკვდილისთვისაა განწირული და ჯვრისწერას ყოველნაირად არიდებს თავს. ბოლოს, როცა სატრფო აიძულებს ეს ნაბიჯი გადადგას, გაექცევა გულისწორს და უკაცრიელ ჭაობნარში დასახლდება. ჭიჭე კვეკვე, კემე და ბონდო ჰალიძონია მისი მანკიერი გენების ნაყოფია სამივე, მასთან სამკურნალოდ მოსიარულე ქალებისგან მოვლენილები წუთისოფელს საკუთარი ჯანმრთელობის გასარკვევად. დროთა მსვლელობაში ჟინი ანთარის ისედაც მწარე საწუთროს ახალი განსაცდელი დაემატება – იგი დევნილი გერმანელი ჯარისკაცების გადასარჩენად ბორანს მოიპარავს საკუთრი სოფლიდან და ამ ბორნით უნდა გერმანელები გახიზნოს ენგურს გაღმა, მაგრამ აქ, ჟინის უფროსი ძმები აღუდგებიან წინ და იარაღით შეეწინააღმდეგებიან მოკავშირეებს. გერმანელები სიკვდილით დასჯიან ჟინის ძმებს და ახლა ჩვენი რომანის გმირი უნებლიე ძმათამკვლელიც ხდება. ის ხალხისგან მოკვეთილია საბოლოოდ. ამისთანა გარემოში იზრდება ბონდო ჰალიძონია – ვერცხლისწყალივით ანკარა პირმშო. აი, აქ ჟინი ანთარი გადაწყვეტს – მისგან ახალი უფალი შეუმზადოს საზოგადოებას. აი, უკვე ჩვიდმეტი წლისაა ბონდო ჰალიძონია და ახალგაზრდას დაბადების დღეზე მოულოდნელად გაემხილება, რომ აქამდე მასწავლებლად მიჩნეული ჟინი ანთარი, თურმე მისი ნამდვილი მამაა. ბონდო ჰალიძონია რეტდასხმულია. იგი თავქუდმოგლეჯილი გარბის კუნძული სატანჯოდან და პროვინციალურ ქალაქში მკვიდრდება საკუთარი ბედისწერის ამოსაცნობად. აქ მას დიდად დაეხმარება უფროსი ნახევარძმა ჭიჭე კვეკე – კვეკვე ანთარია, რომელიც ფაქტობრივად, ჟინი ანთარის უფროსი ნაბიჭვარი შვილია. ვერ შედგება ბონდო ჰალიძონიას და წუთისოფლის ჩამოყალიბება მეორე ქრისტედ და გოლგოთად, ავტოკატასტროფაში დახეიბრდება იგი. სამაგიეროდ, წუთისოფლის განსახიერება ნახევარძმაში – ჭიჭე კვეკვეში განსხეულდება, მას გადააბარებს აქამდე განუხორციელებელ – ქვეყნიერების მოწესრიგების უფლისეულ საქმეს. დაახლოებით ამნაირი ფაბულის ფონზე გადმოიცემა მეოცე საუკუნის კოლხეთის, საქართველოს აუტანელი ყოფიერება: რეპრესიები, ძმათამკვლელი ომები, საკუთარი ტყავის გადასარჩენად სხვების ჯოჯოხეთის ბნელხვეულებში გაგზავნის დაუსრულებელი მაგალითები.

– ბედნიერი გზა ჰქონდეს თქვენს რომანს მკითხველამდე. წარმატებებს გისურვებთ.

დავით ქავთარია

იოგა – უძველესი ღმერთების მემკვიდრეობა?

იოგა მოდური გატაცებაა – ათასობით ადამიანი მონდომებით ასრულებს ასანებს, მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაფიქრებულა იმაზე, რომ იოგა იდუმალი ცოდნაა, რომლის ფესვებიც საუკუნეების სიღრმეებში მიდის... რას მალავენ ასანები, რომლებიც სამყაროსავით ძველია, შესაძლოა, მათში დაშიფრულია კაცობრიობის ცხოვრების წესის კოდი და ყოფიერების არსი?

სამყაროში უძველესი. გამოუცდელი ადამიანისთვის იოგა მხოლოდ სავარჯიშო ასანებია. ისინი არც კი ფიქრობენ იმაზე, ვინ გამოიგონა ისინი და რისთვის იყენებენ უკვე ათასობით წლის განმავლობაში. იოგას „ოფიციალური" ისტორია ამტკიცებს, რომ იოგა ჩვ.წ. აღ-მდე X ს-ში გაჩნდა.

„რიგვედა" – „ჰიმნების წიგნი", მსოფლიო კულტურის უძველესი ძეგლი-ტრაქტატი სწორედ იოგას ეძღვნება. წყაროები ამტკიცებენ, რომ იოგა უძველესი ხელოვნებაა. ინდოეთის ტერიტორიაზე ნაპოვნი ადამიანების სკულპტურები, რომ-

ლებიც მრავალი საუკუნის წინათ არის შექმნილი, იოგას ასანებს ასრულებენ.

არსებობს ვერსია, რომ იოგა მრავალი ათასწლეულის წინათ გაჩნდა უძველეს ცივილიზაცია არქტიდაში, რომელიც იმ დროისათვის ამერიკისა და ევრაზიის შემაერთებელ მატერიკზე მდებარეობდა. გლობალური კატასტროფის შედეგად ეს მატერიკი და მაღალგანვითარებული ცივილიზაციაც გაქრა. არქტიდის მოსახლეობის ნაწილი გადარჩა და იოგას შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მათ სხვა ცივილიზაციების ქურუმებს გადასცეს – მათ შორის ატლანტიდის წარმომადგენლებს, ეს ცივილიზაციები მრავალი ათასწლეულის შემდეგ განადგურდა. დაღუპვას გადარჩენილებმა ცოდნა იოგას შესახებ ინდოეთსა და ეგვიპტეში ჩაიტანეს (ეგვიპტის პირამიდებში არის ადამიანების გამოსახულებები, რომლებიც ასანებს ასრულებენ).

შივა – უცხოპლანეტელი. ინდური ლეგენდების თანახმად, იოგა თავად ღმერთმა შივამ შექმნა და ადამიანებს აჩუქა.

მწერალი-ფანტასტი ალ. კაზანცევი თავის რომანში „ფაეტები" ამტკიცებს, რომ შივა უცხოპლანეტელია. ამ იდეას ათასობით მკვლევარი იზიარებს, მათ შორის ცნობილი მწერლები ერიხ ფონ დინიკენი და ზაქარია სიტჩინი. სიტჩინი ამტკიცებს, რომ ადამიანი უცხოლპანეტელებმა შექმნეს გენური ინჟინერიის საშუალებით. თუ უძველეს წყაროებს მივმართავთ, ვიპოვით ამ არაჩვეულებრივი ფაქტის დამამტკიცებელ საბუთებს – უძველეს დროში მითიური ღმერთები უმაღლეს ტექნოლოგიებს ფლობდნენ.

შივა მფრინავი ეტლით გადაადგილდებოდა. აი, რას გვიამბობს ამის შესახებ ძველინდური პოეტური წყარო „სამარანგანა სუტრადაჰრა": „მისი სხეული, რომელიც დიდ მფრინავ ფრინველს ჰგავს, მსუბუქი მასალისგან უნდა იყოს დამზადებული და ძლიერი და მტკიცე უნდა იყოს. ვერცხლისწყალში დაფარული ძალის წყალობით, რომელიც ჭექა-ქუხილის ძალას ავითარებს, ამ ეტლში მყოფ ადამიანს შეუძლია უზარმაზარ მანძილებზე გადაფრენა".

ამგვარი ფაქტები ათასობითაა, ისინი ამტკიცებენ, რომ უძველესი ღმერთები დედამიწაზე ჩამოვიდნენ და მათ გასაოცარი შესაძლებლობები ჰქონდათ. იოგას დავუბრუნდეთ... თუ შივამ იოგა აჩუქა ადამიანებს, ეს რაღაც მიზნით გააკეთა, რადგან ღმერთები ცოდნას იოლად როდი უზიარებდნენ ადამიანებს, ეშინოდათ, რომ ბოროტი მიზნებისთვის გამოიყენებდნენ.

შივამ კი იოგა ადამიანებს აჩუქა. ის დარწმუნებული იყო, რომ მას სასიკეთოდ გამოიყენებდნენ. ასეც იქნებოდა მაგრამ, იოგას ხელოვნება, რომელიც ოდესღაც ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ რჩეულთა (განდობილთა) ხვედრი გახდა, რომლებმაც გადაწყვიტეს უდიდესი ცოდნის დაფარვა. მაშინ დაიკარგა იოგას ბევრი საიდუმლო, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენს დროში იოგა ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება – უძველესმა ღმერთებმა ხომ მასში ადამიანური ბედნიერების კოდი ჩადეს...

ბედნიერება წონასწორობაშია. ისინი, ვინც იოგას მისდევენ, აღნიშნავენ, რომ ის სასარგებლოა არა მარტო სხეულისთვის, არამედ სულისთვისაც – ვარჯიშები დადებითად მოქმედებს ფსიქიკაზე: ქრება დეპრესიები, ჩნდება წონასწორობა, სიმშვიდე და შესაძლოა, ცხოვრების აზრსაც კი ჩასწვდე – ის თავად ცხოვრებაშია, ე.ი. არსებობის პროცესისგან სიამოვნების მიღებაში.

ვერავინ იქნება ბედნიერი, თუ რაიმე სტკივა, იოგა კი იმისკენ არის მიმართული, რომ ადამიანმა თითოეული უჯრედით შეიგრძნოს ჯანმრთელობა და არსებობის ფსიქიკური სიხარული. ბუნებრივია, ამ მდგომარეობის მისაღწევად ბევრი შრომაა საჭირო და სხეულის სრულყოფაზე ხანგრძლივი მუშაობა აუცილებლად მოიტანს მნიშვნელოვან შედეგებს.

ჰარმონიის მიღწევის შემდეგ იოგას მიმდევრები დაფიქრდნენ – იქნებ იოგა კაცობრიობისთვის დატოვებული გზავნილია, რომელშიც დაშიფრულია სულისა და სხეულისთვის საჭირო აბსოლუტურად ყველა წესი? იოგი ხომ არა მხოლოდ სხეულთან და სულთან, არამედ გარემოსთან არის წონასწორობაში.

იქნებ იოგა ღმრთების ყველაზე მთავარი საჩუქარია კაცობრიობისთვის? და სწორედ მასშია ჩაშიფრული პირადი ბედნიერებისა და ხალხთა და სახელმწიფოთა შორის სწორი არსებობის პროგრამა? წარმოიდგინეთ, რომ ყველა ადამიანი წონასწორობაშია, აკეთებს საყვარელ საქმეს, გულიდან ბოროტებას და ზიზღს განდევნის, მაშინ ხომ აღარ იქნებოდა ომი, ყველა თავის საქმეს გააკეთებდა და ყველა ადამიანი ჯანმრთელი და ბრძენი იქნებოდა...

იოგა ხომ ძალიან ფართო ცნებაა, მასში მრავალი საფეხური და მიმართულებაა, რომლებიც ადამიანის ცხოვრების ყველ სფეროს მოიცავს – არა მარტო ჯანმრთელობას, არამედ სიყვარულს, მეგობრობას, ხელოვნებას, მეცნიერებას... ის უსასრულოა, როგორც თავად ცოდნა. ადამიანს ერთი ცხოვრება არ ეყოფა ყველა ასანის შესასრულებლად და იოგას მთელი ფილოსოფიის შესასწავლად. თუ... ეყოფა? ითვლება, რომ ნამდვილ იოგებს იმდენი ხანი შეუძლიათ ცხოვრება, რამდენსაც მოისურვებენ. იოგათი რეგულარული ვარჯიში ანელებს დაბერების პროცესს და საერთოდ წყვეტს მას.

მზერა აღმოსავლეთისკენ. იოგას მიმდევარი, ექიმი ალექსანდრ ოჩაპოვსკი წერს: „რა განაპირობებს იოგასადმი ასეთ ინტერესს? პირველ ყოვლისა ის, რომ შესაძლებელია შესანიშნავი ჯანმრთელობის შენარჩუნება, დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა. იოგას რჩევები სუნთქვაში, კვებაში, მუშაობაში, დასვენებაში, ფიზიკურ ვარჯიშებსა და ჰიგიენაში სრულიად ემთხვევა თანამედროვე მედიცინისა და ფსქოლოგიის რეკომენდაციებს. იოგა ეხმარება ფსიქიკური წონასწორობის შენარჩუნებაში, რაც სტრესებისა და ფსიქოლოგიური დატვირთვის ფონზე დღეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ჰათჰა-იოგას მიმდევრები სოლიდურ ასაკშიც კი ახალგაზრდულად გამოიყურებიან, აქვთ შესანიშნავი ჯანმრთელობა, კარგი ფიზიკური ფორმა და მაღალი შრომისნაყოფიერება. იოგები ამტკიცებენ, რომ მათ იმდენ ხანს შეუძლიათ იცოცხლონ, რამდენსაც მოისურვებენ. ასი წელი მათთვის ჩვეულებრივი ასაკია".

იოგას მიმდევარი ივან ეფრემოვი თავის წიგნში „სამართებლის პირი" წერს: „ათასწლეულების განმავლობაში ინდოეთის საუკეთესო მოაზროვნეები მუშაობდნენ ადამიანის, მისი სულისა და სხეულის შესწავლაზე და უდიდეს შედეგებს მიაღწიეს. სამწუხაროდ, დასავლეთმა მნიშვნელობა არ მიანიჭა ინდოეთის ფილოსოფიურ აღმოჩენებს. ისინი ტექნიკური ძლიერების მიღწევის გზას დაადგნენ და ადამიანის სრულყოფაზე უარი თქვეს".

იქნებ დროა, აღმოსავლეთისკენ მივაპყროთ მზერა, სადაც უკვე ათასობით წელია, ინახება ღვთიური ცოდნა, რომელიც ადამიანებს ეხმარება გახდნენ ბედნიერები და იპოვონ წონასწორობა და ცხოვრების აზრი...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ცნობილი ექიმი-სექსოლოგი არკადი მოროზოვი კურნავს ასაკობრივ და სხვა მიზეზებით გამოწვეულ სქესობრივ დისფუნქციებს.
არკადი მოროზოვს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:
577 43 25 13

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983